| საგანმანათლებლო პროგრამები | *1.4.* | *2020-2021 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაცდენების შესახებ მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი ჩანაწერი.*<br>*ესგ 2018-2024 წ. მუხლი 38. გაცდენები. 3. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე* | *მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ანალიზით, დასტურდება, რომ რეკომენდაცია შესრულებულია* |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | *ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.* | |
| *მატერიალური რესურსი* | *2.9.* | *პედსაბჭოს ოქმები დაინომრის კალენდარული წლის დასაწყისიდან და არა სასწავლო წლის.* | *სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით ივკეთება, რომ რეკომენდაცია შესრულებულია* |

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულებები და შესაბამისობის გეგმა. აღნიშნული დოკემენტაციის ანალიზის საფუძველზე, ინდიკატორები N1.2.1.3, N1.2.1.4, N1.2.2.2, N3.1.2.3, N3.3.1.3, N3.5.1.4 და N3.6.3.5, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება“, ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი“. ინდიკატორი N2.2.2.3 (საბაზო და საშუალო საფეხური), N3.1.2.4, N3.4.1.1, N3.4.1.2 რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება“, ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით. ინდიკატორი N3.1.1.1 შეფასდა როგორც ,,არ შეესაბამება“, ვინაიდან, **არგუმენტირებულ პოზციასთან ერთად, სკოლას არ წარმოუდგენია მტკიცებულება (კორექტირებული მეთოდოლოგიური დოკუმენტი და სკოლის კორექტირებული დებულება), რაც დაადასტურებდა შემდეგი ხარვეზების გამოსწორებას:**

- **სკოლის დებულებაში ივკეთება სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების ნაწილობრივი დუბლირება — სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია როგორც დირექტორის, ასევე პედაგოგიური საბჭოს ფუნქციებში.**
- **სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს ამტკიცებს დირექტორი, ხოლო დებულებით განსაზღვრული ფუნქციების თანახმად — პედაგოგიური საბჭო. დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ პრაქტიკაში სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. ამავე დოკუმენტის მიხედვით, მისია, ხედვა და ღირებულებები არ**

მტკიცდება. დებულებით კი სკოლის ფილოსოფიის (მიხედვით, მისია, ხედვა) დამტკიცება პედაგოგიური საბჭოს ფუნქციად არის განსაზღვრული.

შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული არ არის.

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

## 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის მისია და ხედვა, რომლებიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

მისიის თანახმად, სკოლა ორიენტირებულია მოამზადოს მოსწავლეები დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის და თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად მიღებული ცოდნის რეალიზებებისთვის.

სკოლის ხედვა კი ორინტირებულია 21-ე საუკუნის გამოწვევების შესაბამისად, ცოდნის და გამოცდილების დაგროვებაზე, მოზარდების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 30 დეკემბრის N114 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობდა სკოლის მისიის რევიზიაზე, ხედვის დაღირებულების შემუშავებაზე. სკოლის დირექციის განცხადებით, სასკოლო საზოგადოების ინტერესის გათვალისწინებით, მისიის თანახმად, სკოლა ორიენტირებულია STEM საგნებისა და, ზოგადად ციფრული ტექნოლოგიების მიმართ ინტერესის გაძლიერებაზე. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადასტურდა მათი ჩართულობა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშვებული მისია, ხედვა და ღირებულებები, 2024 წლის 05 სექტემბრის სხდომაზე წარედგინა პედაგოგიურ საბჭოს.

**რჩევა - მიზანშეწონილია, სამუშაო ჯგუფის საქმიანობის მიმდინარეობა აისახოს შესაბამის ოქმებში.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები 2024 წლის 05 სექტემბრის სხდომაზე წარედგინა პედაგოგიურ საბჭოს.მშობელთა დარბაზისა და მოსწავლეთა გულშემატკივართა კლუბის წარმომადგენლებმაც დაადასტურეს, რომ განხორციელდა მათთვის სკოლის ფილოსოფიის გაცნობა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

უზრუნველყოფილია სკოლის ფილოსოფიის საჯაროობა - სკოლია მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია საკლასო ოთახებში და სკოლის ვებ გვერდზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

1. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება - ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დირექტორის 2023 წლის 30 დეკემბრის N114 ბრძანება*
- *პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 05 სექტემბრის სხდომის ოქმი*
- *სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა*

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 30 დეკემბრის N114 ბრძანებით დამტკიცებულია მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტ(ებ)ის გაზიარებით. სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა 2024-2031 წლებზე გათვლილი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია სკოლის ფილოსოფიასთან თავსებადი შვიდი სტრატეგიული მიზანი და შესაბამისი ამოცანები. სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია 2024 წელს სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის **11 თვეზე გათვლილი სამოქმედო გეგმა,** რომელშიც აქტივობები ოთხი სტრატეგიული მიზნის შესაბამისად არის დაგეგმილი. სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია შვიდი სტრატეგიული მიზანი და მითითებულია, რომ მათი განხორციელება 2025-2026 სასწავლო წელსაც უნდა გაგრძელდეს. მიუხედავად ამისა, **ორი მიმართულების — ორგანიზაციული განვითარება, და შიდა/გარე კომუნიკაციის განვითარება — შესაბამისი აქტივობები მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმაში ასახული არ არის.** არაფორმალური განათლების გაძლიერების მიმართულებით აქტივობებს მოიცავს სასწავლო პროცესის ეფექტური მართვის მიმართულება.

**არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (2026 – 2027 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა), რომელიც ადასტურებს, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილ 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია დაგეგმილი აქტივობები და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, განხორციელების ვადები. თუმცა, გეგმაში არ არის მითითებული შესაბამისი რესურსები, რომლებიც აქტივობების განხორციელებას უზრუნველყოფს. ამასთანავე, შესრულების შეფასებისთვის საჭირო გაზომვადი ინდიკატორები სრულყოფილად განსაზღვრული არ არის.

**არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (2026 – 2027 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა), რომელიც ადასტურებს, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია*
- *შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*

### 1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სტრეტეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა დამტკიცებულია 2024 წელს, შესაბამისად, მისი მონიტორინგის და შეფასების ვადები ჯერ არის არის დამდგარი. მეთოდოლოგიის თანახმად, სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება უნდა განხორცილედეს წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, რომ სკოლაში აღნიშნული პროცესები ხორციელდება მხოლოდ სასწავლო წლის ბოლოს, რაც არ შეესაბამება სკოლის მიერ შემუშავებულ და დადგენილ მეთოდოლოგიას.

**არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება, (რომლის წარმოდგენაც ვიზიტის დროს არ მოხდა - სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმი N1, რომელშიც განხილულია 2025-2026 სასწავლო წლის I სემესტრის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები), რომელიც ადასტურებს, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრეტეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა დამტკიცებულია 2024 წელს. შესაბამისად, მისი მონიტორინგის და შეფასების ვადები ჯერ არის არის დამდგარი. 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია*
- *სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
### 3.1. პერსონალის მართვა
### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

2024 წლის 11 ნოემბერს დამტკიცებული სკოლის დებულებით, განსაზღვრულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამშრომელთა ფუნქციები. ამასთანავე, დასაქმებულთა უფლებამოსილებები და მოვალეობები დამატებით რეგულირდება მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით, ხოლო სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა — შესაბამისი დებულებებით.

სკოლის დებულებაში იკვეთება სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების ნაწილობრივი დუბლირება — სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია როგორც დირექტორის, ასევე პედაგოგიური საბჭოს ფუნქციებში.

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს ამტკიცებს დირექტორი, ხოლო დებულებით განსაზღვრული ფუნქციების თანახმად — პედაგოგიური საბჭო. დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ პრაქტიკაში სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. ამავე დოკუმენტის მიხედვით, მისია, ხედვა და ღირებულებები არ მტკიცდება. დებულებით კი სკოლის ფილოსოფიის (მიხედვით, მისია, ხედვა) დამტკიცება პედაგოგიური საბჭოს ფუნქციად არის განსაზღვრული.

დებულების თანახმად, შინაგანაწესს ამტკიცებს დირექტორი. თუმცა, შინაგანაწესის 53-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, შინაგანაწესში შესატანი ცვლილებები განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინება პედაგოგთა გაფართოებულ სხდომას. სკოლის დირექციასთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ შინაგანაწესში ცვლილებები რეალურად დირექტორის ბრძანებით ხორციელდება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, არ იკვეთება, შინაგანაწესითა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ურთიერთშესაბამისობა, რაც არ გამორიცხავს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დუბლირებას და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გაურკვევლობას.

ასევე, იკვეთება, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, აგრეთვე შინაგანაწესში ცვლილებების დამტკიცების პროცედურები პრაქტიკაში არ ხორციელდება იმ წესისა და უფლებამოსილებების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრულია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტებით.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ სკოლის დირქტორის ბრძანებით, შინაგანაწესში შევიდა ცვლილება, რომელის თანახმად, სკოლის შინაგანაწესს განიხილავს პედაგოგიური საბჭო და ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

თუმცა, არგუმენტირებულ პოზციასთან ერთად, სკოლას არ წარმოუდგენია მტკიცებულება (კორექტირებული მეთოდოლოგიური დოკუმენტი და სკოლის კორექტირებული დებულება), რაც დაადასტურებდა შემდეგი ხარვეზების გამოსწორებას:

- სკოლის დებულებაში იკვეთება სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების ნაწილობრივი დუბლირება — სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია როგორც დირექტორის, ასევე პედაგოგიური საბჭოს ფუნქციებში.

- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს ამტკიცებს დირექტორი, ხოლო დებულებით განსაზღვრული ფუნქციების თანახმად — პედაგოგიური საბჭო. დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ პრაქტიკაში სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. ამავე დოკუმენტის მიხედვით, მისია, ხედვა და ღირებულებები არ მტკიცდება. დებულებით კი სკოლის ფილოსოფიის (მიხედვით, მისია, ხედვა) დამტკიცება პედაგოგიური საბჭოს ფუნქციად არის განსაზღვრული.

შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული არ არის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებული არ არის

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

მიუხედავად სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დუბლირებისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით იკვეთება, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სკოლის დებულება*
- *სტრუქტურული ერთეულების დებულებები*
- *შრომითი ხელშეკრულებები*

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს პერსონალის მართვის პროცესების ძირითად პრინციპებს, დასაქმებულთა მოვალეობებს, სამუშაო დროსა და შვებულების გაცემის წესს. ამასთანავე, შინაგანაწესის დანართის სახით წარმოდგენილია სკოლის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პროგრამა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით იკვეთება, რომ სკოლა საჭიროების შემთხვევაში აცხადებს კონკურსს საჭირო კადრის დასაქმების მიზნით. ასევე წარმატებით ახდენს დროებით არმყოფი დასაქმებულის ჩანაცვლებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია პედაგოგისა და სხვა თანამშრომლების შერჩევის ზოგადი მექანიზმი. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ თანამშრომელთა დასაქმება ხორციელდება კონკურსის საფუძველზე, კანომდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

დასაქმებულ პირთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ **სკოლის ექთნის პირად საქმეში არ არის წარმოდგენილი უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა. ასევე, „საღვთო სჯულის" მასწავლებლის პირად საქმეში არ არის ნასამართლობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის ნასამართლობის და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები.**

**რჩევა - მიზანშეწონილია, სკოლამ დეტალურად განსაზღვროს პერსონალის შერჩევის პროცედურები.**

**არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები), რაც ადასტურებს, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

**სკოლას არ აქვს დადგენილი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.** სკოლის დირექციის წარმომადგენლების განცხადებით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა ხდება კონკრეტული ვაკანტური პოზიციისთვის კონკურსის გამოცხადების მოსამზადებელ ეტაპზე. **შესაბამისად, დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა ვერ დგინდება.**

გამოიკვეთა მოქმედ კანონმდებლობასთან სკოლის ექთნის და „მე და საზოგადოების“ მასწავლებელის კვალიფიკაციის შეუსაბამობა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების N1.2 დანართის თანახმად, მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით, სკოლაში დასაქმებული უნდა იყოს ექიმი. ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია ჩანაცვლდეს ექთნით. თუმცა არ იკვეთება, რომ სკოლამ გადაწყვეტილება მიიღო საკადრო რესურსის დეფიციტის გამო. წარსულში კონკურსის გამოცხადება ვერ დასტურდება. მიმდინარე ეტაპზე, სკოლას გამოცხადებული აქვს კონკურსი ექიმის შერჩევის მიზნით.

დაწყებით კლასებში, საგანს „მე და საზოგადოება“ ასწავლის დაწყებითი კლასების პედაგოგი, რომლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას („ზოგადი განათლების“ შესახებ კანონი - მუხლი $21^3$; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის №108/ნ ბრძანება საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე - მუხლი 11).

არგუმენტირებულ პოზიციასთან, სკოლამ წარმოადგინა:

- მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ საგნის „მე და საზოგადოების“ მასწავლებელი ჩანაცვლდა კადრით, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.
- დოკუმენტი, რომლითაც განსაზღრულია სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

**სკოლამ ასევე წარმოადგინა შესაბამისაობის გეგმა, რომლის თანახმად უზრუნველყოფს კანონმდებლობის შესაბამისი სამედიცინო პერსონალის დასაქმებას.**

შესრულების ვადა - 22.05.2027

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, რომელიც განიხილავს სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის შინაგანაწესთან დაკავშირებულ საკითხებს.

ასევე მოქმედებს მშობელთა დარბაზი, რომლის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინება, ერთობლივი პროექტებისა და ინიციატივების მხარდაჭერა, მშობელთა წარმომადგენლების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა, მონაწილეობითი მართვისა და დემოკრატიული პრინციპების გაძლიერება, ასევე სკოლის აქტივობებსა და განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებთან დაკავშირებით რეკომენდაციების წარდგენა.

სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა გულშემატკივართა კლუბი „საჩინო“, რომლის ძირითადი ფუნქციაა სკოლის საქმიანობასა და მმართველობით პროცესებში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა.

აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირება ხელს უწყობს სკოლაში მონაწილეობით მართვას, გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვასა და ორგანიზაციული კულტურის განვითარებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესის მე-20 მუხლი განსაზღვრავს პერსონალისა და მოსწავლეთა წახალისების ფორმებს. სკოლა უფლებამოსილია, შინაგანაწესით დადგენილი წესით, წაახალისოს დასაქმებულები პროფესიული საქმიანობის წარმატებით

განხორციელების, შრომითი ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულების, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის მქონე სამუშაოს შესრულების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებული აქტიურობისა და მიღწევებისთვის.

ამასთანავე, მოსწავლეთა წახალისება ხორციელდება სასწავლო პროცესში მიღწეული მაღალი შედეგების, სანიმუშო ქცევისა და სკოლისათვის მნიშვნელოვანი საქმიანობის განხორციელების საფუძველზე.

შინაგანაწესის N3 დანართით გათვალისწინებულია როგორც სკოლის მასწავლებლებს შორის, ასევე სხვადასხვა სკოლის მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარების აუცილებლობა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სკოლის შინაგანაწესი*
- *სკოლის დებულება*
- *პედაგოგიური საბჭოს დებულება*
- *მშობელთა დარბაზის დებულება*
- *მოსწავლეთა გულშემატკივართა კლუბი „საჩინო“-ს დებულება*

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

## 3.2. პერსონალის განვითარება

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის შინაგანაწესის N3 დანართით განსაზღვრულია სკოლის ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების პროგრამა. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, იმის დასადგენად, თუ რა ცოდნა და უნარ-ჩვევები ესაჭიროებათ პედაგოგებს, აუცილებელია, შეფასდეს მათი საქმიანობა და მხოლოდ ამის საფუძველზე შემუშავდეს პროგრამების სასწავლო მიზნები; მოთხოვნების გამოვლენა შესაძლებელია თანამშრომელთა შეფასების ფორმებისა და ე.წ. „სვოტ" (SWOT) ანალიზის საფუძველზე, ასევე სასწავლო პროცესზე რეგულარული მონიტორინგითა და გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენისათვის ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მოპოვებული ინფორმაციით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

პერსონალის პროფსიული განვითარების მიმართულებით განსაზღვრულია აქტივობები მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით. კათერდის სამუშაო გეგმით განსაზღვრულია გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, კოლეგების ფოკუსირებული დაკვირვებები, გამოცდილების გაზიარება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში დამკვიდრებულია გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც კოლეგები ერთმანეთს აწვდიან შეფასებით უკუკავშირსა და რეკომენდაციებს.

2024 წელს, ბიბლიოთეკაში ახალი ელექტრონული სისტემის დანერგვის გამო, საჭიროების შესაბამისად, სკოლამ უზრუნველყო ბიბლიოთეკარის გადამზადება შესაბამის ტრენინგზე დასწრებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას, სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. ადამიანური რესურსების განვითარება, სკოლის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია შესაბამისი ამოცანები და აქტივობები. სკოლაში ადმინისტრაციულ პოზიციებზე დასაქმებულ პირებს (საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი) აქვთ სათობრივი დატვირთვა, რაც მიუთითებს, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას არ აქვს შემუშავებული თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცესის მარეგულირებელი მექანიზმი, თუმცა სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრაქტიკაში ახალი თანამშრომლების მხარდაჭერისა და სამუშაო გარემოში ინტეგრაციის პროცესი ეფექტურად ხორციელდება. შინაგანაწესის თანახმად, სხვა სამუშაოზე გადაყვანილი თანამშრომლის, ახალ სამუშაოზე კვლავ დაშვებისათვის სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია გააცნოს თანამშრომელს დაკისრებული სამუშაო, თანამდებობრივი ინსტრუქცია, სამუშაოს პირობები და შრომის ანაზღაურების წესი, განუმარტოს მისი უფლებები და ვალდებულებები.

**რჩევა - მიზანშეწონილია, განისაზღროს თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას მექანიზმი.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები სკოლაში წახალისებული და მხარდაჭერილია. არსებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ თანამშრომლებს ეძლევათ შესაძლებლობა ჩაერთონ პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობაში, სკოლა ხელს უწყობს მათ ინიციატივებს როგორც შიდა გამოცდილების გაზიარების, ისე გარე ტრენინგებსა და გადამზადების პროცესებში მონაწილეობის სახით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *შინაგანაწესი*
- *კათედრის სამუშაო გეგმა*
- *2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**
**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას, შინაგანწესის დანართით განსაზღვრული აქვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, შიდა კონტროლს განახორციელებს ხარისხის მართვის სამსახური. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებას ხელმძღვანელობს სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესს გეგმავს და ზედამხედველობას უწევს შიდა მონიტორინგის ჯგუფის მეშვეობით, რომელიც უფლებამოსილია სისტემატურად აწარმოოს სკოლაში სასწავლო პროცესზე და ყველა რგოლის მუშაობაზე დაკვირვება, ჩაატაროს გამოკითხვები ცალკეული რგოლის მუშაობის ხარისხის შესამოწმებლად, შეისწავლოს მოსწავლეთა და მათი მშობლების, თანამშრომლების პრობლემები და რეკომენდაციები, დირექტორის დავალებით აწარმოოს ცალკეული პრობლემური საკითხის დისციპლინური გადაცდომის მოკვლევა, შეამოწმოს სწავლა/სწავლების ხარისხი, შეამოწმოს სკოლის თითოეული რგოლის საქმიანობის ხარისხი, შეისწავლოს სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამუშაო გეგმის შესრულების ხარისხი. ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო გეგმის შესაბამისად განხორციელებული აქტივობები ჯამდება. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციები, რომელიც წარედგინება სკოლის დირექტორს. შემაჯამებელი ანგარიში ასევე წარედგინება სასკოლო საზოგადოებას. მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება განხორციელდება მიღებულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში დამკვიდრებულია სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების ანგარიშგების პრაქტიკა, ასევე ხორციელდება მშობელთა კმაყოფილების კვლევა, რაც მიმდინარე პროცესების ანალიზისა და სამომავლო დაგეგმვისთვის გამოიყენება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები ასახული არ აქვს ერთ კონკრეტულ დოკუმენტში. თუმცა შემუშვებული და დამტკიცებულია ამ პროცესების მარეგულირებელი დოკუმენტები.

სკოლაში დამტკიცებულია:

- მმართველობითი პროცესების მარეგულირებელი დოკუმენტები - სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- ძირითადი პროცესების მარეგულირებელი დოკუმენტები - კურიკულუმის განვითარების და მონიტორინგის მეთოდოლოგია, შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა.
- დამხმარე პროცესების მარეგულირებელი დოკუმენტები - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, საქმისწაროების წესი, ბიბლიოთეკის დებულება, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

**რჩევა - მიზანშეწონილია სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების მკაფიოდ განსაზღვრა და იდენტიფიცირება, რაც უზრუნველყოფს მათი მართვის უფრო ორგანიზებულ და ეფექტურ განხორციელებას.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის შინაგანწესით განსაზღვრულია მასწავლებლების მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი. სკოლის ,მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ იკვეთება, რომ სკოლაში არსებობს **თანამშრომლების (გარდა მასწავლებლებისა), მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.**

**არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის წესი) რომლითაც დასტურდება, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. სკოლის შინაგანაწესით განსაზღრულია მოსწავლის ძირითადი და უფლებები და მოვალეობები. დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს გააცნოს სკოლის შინაგანაწესი. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა გულშემატკივართა კლუბი „საჩინო“, რომლის ფუნქციაა დაიცვას მოსწავლეთა ინტერესები და მათი უფლებები, საჭიროების შემთხვევაში უშუამდგომლოს მოსწავლეებს სკოლის დირექციასთან, დააყენოს შუამდგომლობა სკოლის დირექტორთან გამორჩეული მოსწავლეების წახალისების საკითხთან დაკავშირებით, შეიმუშავოს რეკომენდაციები სკოლის შინაგანაწესთან დაკავშირებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *შინაგანაწესი*
- *გულშემატკივართა კლუბი „საჩინოს“ დებულება*

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის დირექციის წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ღია და ეფექტური კომუნიკაციის

პრაქტიკა. რეგულარულად იმართება პედაგოგიური საბჭოს, მშობელთა დარბაზისა და მშობელთა კრებების შეხვედრები, რაც უზურნველყოფს მიმდინარე საკითხების განხილვისა და უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას.

ასევე იკვეთება, რომ სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის პრაქტიკა ანკეტირების ფორმით. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხორციელდება სკოლის ვებ გვერდისა და სოციალური ქსელების მეშვეობით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, რომელიც განიხილავს სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის შინაგანაწესთან დაკავშირებულ საკითხებს.

ასევე მოქმედებს მშობელთა დარბაზი, რომლის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინება, ერთობლივი პროექტებისა და ინიციატივების მხარდაჭერა, მშობელთა წარმომადგენლების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა, მონაწილეობითი მართვისა და დემოკრატიული პრინციპების გაძლიერება, ასევე სკოლის აქტივობებსა და განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებთან დაკავშირებით რეკომენდაციების წარდგენა.

სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა გულშემატკივართა კლუბი „საჩინო“, რომლის ძირითადი ფუნქციაა სკოლის საქმიანობასა და მმართველობით პროცესებში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა.

აღნიშნულით იკვეთება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სტრუქტურული ერთეულების დებულებები*

- *კითხვარის ნიმუშები*
- *შეხვედრის ოქმები*
- *შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**
**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლის მიერ წარმოდგენილია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის დასკვნა, რომელიც დათარიღებულია 2026 წლით. დასკვნის თანახმად, სკოლის ტექნიკური მდგომარეობა შეფასებულია დამაკმაყოფილებლად.

ამასთან, ვიზუალური დათვალიერების შედეგად, შენობაზე არ ფიქსირდება დეფორმაციები ან სხვა სახის დაზიანებები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიდა შენობის მდგრადობას ან ხელს შეუშლიდა მის უსაფრთხო ექსპლუატაციას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 2024 წელს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს მიმართეს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. განხორციელდა სკოლის ინფრასტრუქტურისა და არსებული მდგომარეობის შესწავლა, რის საფუძველზეც გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლამ აღნიშნული რეკომენდაციებიდან  შეასრულა შემდეგი:

- შენობის სახურავის სხვენის ხის კონსტრუქციის დამუშვება ცეცხლგამძლე და ანტისეპტიკური ხსნარით.
- ცეცხლმაქრების გადამუხტვა
- ნიშნის „112“ შეძენა
- ნიშნის „ცეცხლმაქრი“ შეძენა
- 4 ცალი ევაკუაციის გზის მაჩვენებლის შეძენა და მონტაჟი
- 4 ცალი ევაკუაციის გეგმის სქემის მონტაჟი

სკოლის დირექტორის 2020 წლის 21 თებერვლის  N12 ბრძანებით,  განსაზღვრულია სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით უფლებამოსილი პირი.

სკოლამ მიმდინარე ეტაპზე ვერ წარმოადგინა:

- **უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.**

- **ა (ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლაში  უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესებისა და პირობების საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი.**

სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით და მიმდინარეობს შესაბამისი სივრცეების მონიტორინგი. თუმცა, ვიდეომეთვალყურეობის არეალი სრულად არ ფარავს სკოლის ფოიესა და კიბის უჯრედის სივრცეებს, რის გამოც აღნიშნული ადგილების სრულყოფილი მონიტორინგი არ ხორციელდება.

რჩევა - მიზანშეწონილია:

- უზრუნველყოფილ იქნას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე მიღებული რეკომენდაციების შესრულება

- სკოლაში დასაქმდეს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (ფოტოსურათები) რომელიც ადასტურებს, რომ ხორციელდება სკოლის ფოიესა და კიბის უჯრედის სივრცეების სრულყოფილი ვიდეომონიტორინგი.

სკოლამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად უზრუნველყოფს:

- უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას .

შესრულების ვადა - 19..05.2027

- ა (ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესებისა და პირობების საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებას.

შესრულების ვადა - 05.05. 2027

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლაში ექიმის კაბინეტის ნაცვლად, ბიბლიოთეკის სივრცეში მოწყობილია სამედიცინო პუნქტი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების დანართი N2 ის მე-2 მუხლის თანახმად, მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით, სკოლებისთვის, სადაც სწავლობს 50-ზე მეტი მოსწავლე, სავალდებულოა სამედიცინო კაბინეტის მოწყობა. სკოლაში დასაქმებულია ექთანი. ამავე ბრძანების N1.2 დანართის თანახმად, მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად, სკოლაში დასაქმებული უნდა იყოს ექიმი. ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია ჩანაცვლდეს ექთნით. თუმცა არ იკვეთება, რომ სკოლამ გადაწყვეტილება მიიღო საკადრო რესურსის დეფიციტის გამო - წარსულში კონკურსის გამოცხადება ვერ დასტურდება. მიმდინარე ეტაპზე, სკოლას გამოცხადებული აქვს კონკურსი ექიმის შერჩევის მიზნით.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (ფოტოსურათები), რომელიც ადასტურებს, რომ სკოლაში ბიბლიოთეკა, რომელშიც გამოყოფილი იყო სივრცეები, დაიყო იზოლირებულ ოთახებად - სამედიცინო კაბინეტი, რესურსოთახი და ბიბლიოთეკა.

სკოლამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს კანონმდებლობის შესაბამისი სამედიცინო პერსონალის დასაქმებას.

შესრულების ვადა - 22.05.2027

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სკოლაში უზრუნველყოფენ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, მორიგე მასწავლებლები და დამრიგებლები. დერეფნებსა და სკოლის ეზოს მთელ პერიმეტრზე წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებულია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. სასკოლო პერიოდში სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა

გადაადგილება შეზღუდულია, ხოლო შემოსასვლელი კარი მუდმივად კონტროლდება სპეციალურად განსაზღვრული მორიგე მასწავლებლის მიერ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში დასაქმებული ფსიქოლოგი, რომელიც ზრუნავს მოსწავლეების კომუნიკაციური და სოციალური უნარების ამაღლებაზე, მათი ემოციური და ქცევითი საჭიროებების გამოვლენაზე, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციებით ცდილობს ასწავლოს მათ პრობლემის აღიარება, ბრაზის მართვა და კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის გზები. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები, წრეები, სკოლა აქტიურია არაფორმალური განათლების მიმართულებით, რაც ხელს უწყობს სასკოლო გარემოში ემოციურ თვითდამკვიდრებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 30 დეკემბრის N116 ბრძანებით, დამტკიცებულია ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. სკოლაში დასაქმებულია ორი დამლაგებელი. სკოლის ექთანი ზედამხედველობას უწევს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ვიზუალური დათვალიერებით სკოლის შენობა და ეზო მოწესრიგებულია. აღსანიშნავია რომ სველი წერტილი განთავსებულია სკოლის ეზოში, ცალკე შენობაში და მოწყობილია ე.წ. აზიური ტიპის საპირფარეშოები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 30 დეკემბრის N117 ბრძანებით, დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია მონაცემთა დაცვის პრინციპები, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება. აღნიშნული წესის თანახმად, სკოლაში

დასაქმებული პირები/მოსწავლეები ვალდებულნი არიან დაიცვან პერსონალური მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და წინამდებარე დოკუმენტი. დასაქმებულ პირებს ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების უყურადღებოდ დატოვება. პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დადგენილი წესების დარღვევა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობაა.

სკოლაში დასაქმებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის თანახმად, სკოლაში დასაქმებული პირები/მოსწავლეები ვალდებულნი არიან დაიცვან პერსონალური მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და წინამდებარე დოკუმენტი. დასაქმებულ პირებს ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების უყურადღებოდ დატოვება. პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დადგენილი წესების დარღვევა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობაა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც სკოლის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის მიზნით, განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს და დირექციას წარუდგენს რეკომენდაციებს; ასევე პერიოდულად (ანკეტირებით) ახორციელებს სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასებას მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების (ან კანონიერი წარმომადგენლების) მიერ. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები, რომლის თანახმადაც გამოკითხული მოსწავლეების 72% თავს უსაფრთხოდ გრძნობს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი*
- *სკოლის დირექტორის 2020 წლის 21 თებერვლის  N12 ბრძანება*
- *ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი*
- *სკოლის შინაგანაწესი*

შეფასება:
- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**
**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა ფუნქციონირებს შენობაში, რომელიც საქართველოს საპატრიქრქოს საკუთრებაა. საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, სკოლა წარმოადგენს მონათხოვრეს და სარგებლობაში აქვს 4281 კვ.მ ფართი, მასზე განთავსებული შენობებით (შენობა N1- 869.4 კვ.მ; შენობა N2 – 530 კვ.მ; საქვაბე - 25 კვ.მ). სკოლის შენობაში მოწყობილია 12 საკლასო ოთახი. სივრცე ადმინისტრაციისა და დირექციის წარმომადგენლებისთვის. სკოლა აღჭურვილია საჭირო რაოდენობის მერხებით, დაფებით. კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერებითა და პროექტორებით. ფუქნციონირებს ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, ეზოში, ცალკე შენობაშია განთავსებული სპორტული დარბაზი. ასევე ეზოში, ცალკე შენობაშია სველი წერტილები და აღჭურვილია აზიური ტიპის საპირფარეშოებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ბიბლიოთეკის დებულება შეესაბამება იმ ძირითად მოთხოვნებს, რომლებიც ბიბლიოთეკის ეფექტიან და ორგანიზებულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. დოკუმენტში განსაზღვრულია ბიბლიოთეკით მოსარგებლე პირთა უფლებები და ვალდებულებები, საბიბლიოთეკო რესურსებითა და სამკითხველო დარბაზით სარგებლობის, ასევე რესურსების დაცვის წესები.

სკოლისთვის ხელმისაწვდომია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა — „BibliCat.ge“, რაც უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის გამართულ მუშაობას.

ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია როგორც მხატვრული, ასევე სასკოლო წიგნადი ფონდით. სკოლაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის შენობა ორსართულიანი. მოწყობილია შენობაში შესასვლელი პანდუსი. სართულებზე გადაადგილებისთვის კი მოძრავი პანდუსი. **სკოლაში ხელმისაწვდომია ადაპტირებული საპირფარეშო, თუმცა არსებული მდგომარეობა საჭიროებს დამატებით ადაპტაციასა და ინფრასტრუქტურულ გაუმჯობესებას. სკოლაში რესურსოთახი ფუნქციონირებს საბიბლიოთეკო სივრცეში, სადაც ასევე განთავსებულია სამედიცინო პუნქტი. რესურსოთახი საჭიროებს განსხვავებულ პირობებს და სამიზნე პირების/ჯგუფების განცალკევებას, რაც ხელს შეუწყობს ეფექტურ მუშაობას პერსონალური ინფორმაციის დაცვით.**

**არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (ფოტოსურათები), რომელიც ადასტურებს, რომ ბიბლიოთეკა, რომელშიც გამოყოფილი იყო სივრცეები, დაიყო იზოლირებულ ოთახებად - სამედიცინო კაბინეტი, რესურსოთახი და ბიბლიოთეკა. ასევე განხორციელდა საპირფარეშოს დამატებითი ადაპტაცია და ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, დიდი ეზო უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას, ისე სხვადასხვა კულტურული, სპორტული და შემოქმედებითი აქტივობების განხორციელებას. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, სოციალური ურთიერთობების განვითარებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან*

- *ბიბლიოთეკის დებულება*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით; სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, ლეპტოპებით; არის უსადენო ინტერნეტი. აღნიშნული სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს აძლევს სასწავლო პროცესის და ადმინისტრაციული საქმიანობის გამართულად განხორციელების შესაძლებლობას.

სკოლაში დასაქმებულია საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც საჭიროებისამებრ ტექნიკურ დახმარებას უწევს სკოლის თანამშრომლებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის ვიზუალური დათვალიერებით, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ უზრუნველყოფილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლაში დასაქმებულ პირთათვის. შემუშავებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი.

**რჩევა - მიზანშეწონილია, შემუშავდეს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების წესი.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ხელშეკრულებები*
- *მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია*

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

დირექტორის 2026 წლის 28 მაისის N18 ბრძანებით, როგორც შინაგანაწესის დანართი,  დამტკიცებულია საქმისწარომების წესი, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. მას აქვს ელექტრონული ჟურნალი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულად წარმართვას, ის არის ერთ-ერთი საკომუნიკაციო საშუალება სკოლას, მასწავლებელსა და მშობელს შორის. ასევე სკოლამ წარმოადგინა შპს ,,სქულ მენეჯმენტ სისტემსთან“დადებული ხელშეკრულება, სისტემის ლიცენზიის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში ელექტრონულ დოკუმენტბრუნვას. სკოლისთვის ხელმისაწვდომია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა — „,BibliCat.ge“. ვიზუალურად დათვალიერების დროს აღნიშნული პლატფორმები მუშაობდა გამართულად და უზრუნველყოფს სკოლის მართვაში თანამედროვე ტექნოლოგიების ჩართულობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ შემოწმდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი, რომელიც სრულყოფილია, სკოლას აქვს სრულყოფილად წვდომა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა აქტიურად თანამაშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან, მაგალითად, ოზურგეთის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და მისი დახმარებით ამყარებს კომუნიკაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესაბამისი ნებართვების მოპოვების თუ საკითხების შესათანხმებლად.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ხელშეკრულებები სქულბუკთან (ელექტრონული ჟურნალის, ელექტორნული საქმისწარმოების)*

### 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ. გვერდი, (http://www.gabrielepiskoposisskola.ge/), სოციალური ქსელი, რომლის საშუალებითაც ხდება სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიმოცვლა სასკოლო საზოგადოების წევრებთან. სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის; სკოლის დებულების თანახმად, ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე, სიახლეების დროულ განთავსებაზე პასუხისმგებელია საინფორმაციო მენეჯერი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ და საკონტაქტო ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის დირექციის წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ღია და ეფექტური კომუნიკაციის პრაქტიკა. რეგულარულად იმართება პედაგოგიური საბჭოს, მშობელთა დარბაზისა და მშობელთა კრებების შეხვედრები. ასევე

ივვეთება, რომ სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის პრაქტიკა ანკეტირების ფორმით. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხორციელდება სკოლის ვებგვერდისა და სოციალური ქსელების მეშვეობით. მშობლების შეფასებით, სკოლა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ყურადღებას აქცევს სასკოლო საზოგადოების მოსაზრებებს. მათი მოთხოვნის საფუძველზე, უცხო ენის გაკვეთილებზე კლასი ჯგუფებად იყოფა. მოსწავლეების თქმით, უცხო ენის შერჩევისას სკოლა, შესაძლებლობის ფარგლებში, მათ ინტერესებსა და არჩევანსაც ითვალისწინებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი (http://www.gabrielepiskoposisskola.ge/), რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი სკოლაში წარიმართება ქართულ ენაზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **არ არის განთავსებული სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში.**

**მიმდინარე ეტაპზე, სკოლის ვებ გვერდის ვიზუალური დათვალიერებით დასტუდება, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სკოლის დებულება*
- *სკოლის ვებ გვერდი*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook)*

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.7. ფინანსური რესურსები
### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს თანხა, რომელსაც სკოლა, ვაუჩრულ დაფინანსებასთან ერთად, საქართველოს მთავრობის N609 განკარგულების შესაბამისად, ფინანსური დახმარების სახით იღებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან. სკოლა ასევე იღებს თანხას საქართველოს საპატრიარქოდან. სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით იკვეთება, რომ სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის წესდების თანახმად, ბიუჯეტს ამტკიცებს სკოლის დამფუძნებელი, ხოლო ფინანსური სახსრების განკარგვის კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. ბუღალტერი, რომელიც ანგარიშვალდებულია სკოლის დირექტორის წინაშე, აღრიცხავს სკოლაში შემოსულ თანხებს და უზრუნველყოფს მათ საჭიროებისამებრ განკარგვას. კალენდარული წლის ბოლოს, სკოლა ფინანსურ ანგარიშგებას წარუდგენს როგორც საქართველოს საპატრიაქროს, ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

- *სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტი*
- *გასული წლების ფინანსური ანალიზი*
- *სკოლის წესდება*
- *სკოლის დებულება*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**
**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**
**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღრულია მოსწავლის ძირითადი უფლებები და მოვალეობები. დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს გააცნოს სკოლის შინაგანაწესი. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა გულშემატკივართა კლუბი „საჩინო“, რომლის ფუნქციაა დაიცვას მოსწავლეთა ინტერესები და მათი უფლებები, საჭიროების შემთხვევაში უშუამდგომლოს მოსწავლეებს სკოლის დირექციასთან, დააყენოს შუამდგომლობა სკოლის დირექტორთან გამორჩეული მოსწავლეების წახალისების საკითხთან დაკავშირებით, შეიმუშავოს რეკომენდაციები სკოლის შინაგანაწესთან დაკავშირებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე, ასევე სკოლის შენობაში, საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე. კლასის დამრიგებელი ვალდებულია, სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სკოლის დებულება*
- *სკოლის შინაგანაწესი*
- *მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება*
- *დამრიგებლის დებულება*

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის დირექტორის 2026 წლის 28 მაისის N18 ბრძანებით, როგორც შინაგანაწესის დანართი, დამტკიცებულია „ა (ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის დოკუმენტაციის და eschool - ის ბაზის დათვალიერებით დადასტურდა, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია დამატებითი მომსახურება, რასაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს - სწავლების სამივე საფეხურზე  ისწავლება  ,,საღვთო სჯული“, გაძლიერებულია ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება (წიგნიერება _ I-IVკლასებში)  და მათემატიკის სწავლება (ლოგიკური მათემატიკა_ I-IVკლასებში). უცხოური ენის მხრივ, აღსანიშნავია, რომ სკოლა სთავაზობს ოთხ ენას: ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული. სკოლა მოსწავლეებს

სთავაზობს დამატებით  ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების, ქართული ხალხური ცეკვის, ჭადრაკის და ხელსაქმის წრეებს (გობელინი, ქარგვა, ქსოვა, თოჯინების დამზადება).

შინაგანაწესით განისაზღვრება მოსწავლის  უფლებები და ვალდებულებები. ამავე დოკუმენტით რეგულირდება სკოლის შიდა პოლიტიკა.

უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმისა და სკოლის შინაგანაწესის  საჯაროობა - გამოქვეყნებულია სკოლის ვებ გვერდზე და საკლასო ოთახებში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ვებ გვერდისა და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *შინაგანაწესი*
- *ა (ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**
**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესის N2 დანართით, განსაზღვრულია სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებულია პირველ კლასში ჩარიცხული და მობილობით გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციის სპეციფიკა. სკოლაში მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმის დაცვის მონიტორინგი ევალება სკოლის დირექტორის მოადგილეს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. სწავლის დაწყების პირველ დღეს დამრიგებელი აცნობს პირველკლასელებს სკოლის ინფრასტრუქტურას - სად მდებარეობს ბუფეტი, სველი წერტილები, დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა ექიმის ოთახი და ა. შ. კლასის დამრიგებელი ახალ გადმოსულ

მოსწავლეს აცნობს კლასს, მოსწავლეს და მშობელს ამატებს სოციალურ ქსელში კლასის ჯგუფში (მოსწავლეს 10 წლის ზემოთ). დამრიგებელი იღებს ინფორმაციას საგნის მასწავლებლებიდან, ასევე აკვირდება მოსწავლეს სხვადასხვა გარემოში მაგალითად, გაკვეთილებზე, დასვენებაზე, სკოლის ბუფეტში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

2025-2026 სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმები - აკადემიური პრობლემების არსებობის იდენტიფიცირებისას, ასევე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მომართვის საფუძველზე, მოსწავლე იღებს მხარდაჭერას სკოლისაგან. ამ მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, იქმნება საკონსულტაციო ჯგუფი კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლისა და ხარისხის მართვის მენეჯერის შემადგენლობით. ჯგუფს ხელმძღვანელობს დამრიგებელი. პირველ ეტაპზე ჯგუფი იკვლევს მოსწავლის აკადემიური პრობლემის გამომწვევ მიზეზებს, შემდეგ დგინდება საჭიროებები, ინიშნება დამატებითი მეცადინეობები კონსულტირების ვადებისა და ფორმის მითითებით.

მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის დამატებითი მეცადინეობების ჩატარებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზით იკვეთება, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით დარეგულირებულია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადების, სემესტრული გამოცდის საკითხი. მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ მასწავლებლებისგან მიღებული აქვთ ინფორმაცია აღნიშნული საკითხის თაობაზე. მოსწავლის მობილობის შემთხვევაში, სკოლა ღებულობს ზომებს მოსწავლისათვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის თაობაზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლეთა წახალისების  მექანიზმებს, რომლებიც ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის მიერ ორგანიზებული საკლუბო საქმიანობისა და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად ქვეყნდება სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში (facebook).

სკოლაში დასაქმებული არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რომლებიც მოსწავლეებს უწევენ მხარდაჭერას არაფორმალური აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

სკოლაში წარმატებით არის დანერგილი „ღია კარის დღის“ პრაქტიკა, რომელიც ქმნის შესაძლებლობას, რომ თითოეულმა მოსწავლემ, მასწავლებელმა თუ მშობელმა წარმოადგინოს საკუთარი ინიციატივა, გამართოს შეხვედრა ან დისკუსია აქტუალურ და საინტერესო თემებზე, ასევე შერჩეულ აუდიტორიას გააცნოს საკუთარი საქმიანობის შედეგები, მიღწევები და შემოქმედებითი ნამუშევრები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლა მათგან მიღებულ უკუკავშირს  იყენებს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებისთვის. იკვეთება, რომ მეორე უცხო ენის არჩევა ხორციელდება მშობლების სურვილის გათვალისწინებით. ასევე მშობლების სურვილის გათვალისწინებით, სკოლაში  ფუნქციონირებს გახანგრძლივებული სწავლების წრე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *შინაგანაწესი*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლას შემუშავებული და სასკოლო სასწავლო გეგმით წარმოდგენილი აქვს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა. აღნიშნული პროგრამის თანახამად, 2025-2026 სასწავლო წელს სკოლის X კლასში, II სემესტრში, დაგეგმილია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის 4 გაკვეთილი. გარდა ამისა, სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კავკასიის საერთაშორისო უნივერისტეტთან. აღნიშნული მემორანდუმის თანახმად, IX – XII კლასის მოსწავლეებისთვის განახორციელებს პროფორიენტაციის ტრენინგ მოდულებს.

სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ იწვევენ კურსადმთავრებულებს და სახვადასხვა პროფესიის, ასევე უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს პროფესიების გაცნობის მიზნით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კავკასიის საერთაშორისო უნივერისტეტთან. აღნიშნული მემორანდუმის თანახმად, IX – XII კლასის მოსწავლეებისთვის განახორციელებს პროფორიენტაციის ტრინინგ მოდულებს.

სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ იწვევენ კურსადმთავრებულებს და სხვადასხვა პროფესიის, ასევე უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს პროფესიების გაცნობის მიზნით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლა სისტემატურად აგროვებს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა წარმატებებისა და პროფესიული არჩევანის შესახებ. ასევე, სკოლა რეგულარულად აწყობს წარმატებული კურსდამთავრებულების შეხვედრებს მოსწავლეებთან, რაც გამოცდილების გაზიარებასა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას ემსახურება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *კავკასიის საერთაშორისო უნივერსტეტთან გაფორმებული მემორანდუმი*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *განხორციელებული აქტივობების ანგარიში*

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღრულია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშვების მიზნით, დირექტორის ბრძანებით, სკოლაში იქმნება ისგ ჯგუფი, რომლის წევრები არიან კლასის დამრიგებელი, საგნების მასწავლებლები, სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები, მშობელი. სკოლაში იქმნება ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორცილების მონიტორინგის მიზნით, დირექტორის ბრძანებით იქმნება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობისა და საგანმანათლებლო პროცესში შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელი. შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი საგნის მასწავლებლები, კლასის დამრიგებელი, სპეციალური მასწავლებელი და მოსწავლის მშობელი. თანამშრომლობით იგეგმება და მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ეფუძნება თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. ამასთან, სკოლაში ფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ზედამხედველობას უწევს ისგ-ის განხორციელების პროცესს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძნება*
- *მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში*

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლაში, სწავლების სამივე საფეხურზე ისწავლება ,,საღვთო სჯული“, გაძლიერებულია ქართული ენისა და ლიტერატურის (წიგნიერება _ I-IVკლასებში) და მათემატიკის (ლოგიკური მათემატიკა_ I-IVკლასებში) სწავლება. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ფრანგული და გერმანული ენების წრეებს. ასევე ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების, ქართული ხალხური ცეკვის, ჭადრაკის და ხელსაქმის წრეებს (გობელინი, ქარგვა, ქსოვა, თოჯინების დამზადება).
დამატებითი მომსახურება განსაზღვრულია პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

დამატებითი მომსახურება განსაზღვრულია პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმით. არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ

ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

შინაგანაწესის თანახმად, სკოლა ვალდებულია  თანამშრომლებს შეუქმნას შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო-პირობები, შეასრულოს შრომის დაცვის წესები. განახორციელოს ღონისძიებები უსაფრთხოების ტექნიკისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის სფეროში. სკოლის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია მოსწავლეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, სასწავლებელში მათი ყოფნისა და სასწავლებლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის დროს.სასკოლო დროის ფარგლებში  სკოლა პასუხს აგებს მოსწავლის უსაფრთხოებაზე.

სკოლას იჯარით აქვს გაცემული ფართი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარე ვალდებულია მკაცრად დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა ტექნიკური უსაფრთხოების ზომები, სანიტარული მოთხოვნები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *შინაგანაწესი*
- *იჯარის ხელშეკრულება*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*

შეფასება:
○ *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი<br>დაწყებითი საფეხური | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი<br>საბაზო საფეხური | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>საშუალო საფეხური | ☐ **შეესაბამება**<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

### 2. სასკოლო კურიკულუმი
### 2.1. კურიკულუმის შემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას,დირექტორის ბრძანებით N47(23.06.2023) დამტკიცებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ფუნქციები, პრიორიტეტები და შეხედულებები. კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლებისა და ადმინისტრაციის ჩართულობით. სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები.  კურიკულუმის შემუშავება ხდება საგნობრივი კათედრების მიერ, სასკოლო სასწავლო პროგრამების გათვალისწინებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობითა და არსებული პრაქტიკის, განხორციელებული აქტივობების გათვალისწინებით. პედაგოგებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპლექსური ბუნების დავალებების შერჩევის დროს მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, უნარებსა და შესაძლებლობებს, ასევე

ასაკობრივ თავისებურებებს. გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებულია საგნობრივი კურიკულუმები. სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა, რომ სასწავლო წლის ბოლოს ხორციელდება პროცესის შეჯამება და გამოკვეთილი არსებული საჭიროებების გათვალისწინებით ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით ახალი საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრების ყველა წევრი და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის დახვეწა. კათედრებზე არის მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, რას საშუალებას იძლევა მასწავლებლებმა ერთმანეთს გაუზიარონ მოსწავლეთა მიღწევები, საჭიროებები, ინტერესები, სურვილები და შესაბამისი შინაარსობრივი ნაწილი ასახონ კურიკულუმებში. შემუშავების პროცესზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში და ხარისხის განვითარების მენეჯერი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო კურიკულუმი გაზიარებული და გათავისებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის ადმინისტრაცია, კათედრის თავმჯდომარეები, მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო კურიკულუმისა შემუშავებისა და დახვეწის პროცესში. კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის და როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო ( 25.09.2025 წელი ოქმიN5). სასკოლო კურიკულუმი საჯაროა და გაზიარებულია მოსწავლეებთან. კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, ასახულია სამიზნე ცნებები, სავალდებულო თემები, საკითხები, ასევე გათვალისწინებულია პროექტული ტიპის დავალებები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სასკოლო სასწავლო გეგმა (დანართებით)*
- *ბრძანება და დანართი _ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *ერთ-ერთი კათედრის სამოქმედო გეგმა*
- *ქართულის კათედრის ოქმი*

### 2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები. აქტივობების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები და ინტერესები. გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სწავლის მიზნები ძირითადად ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად.<br>**რჩევა - სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ პრაქტიკულ სამუშაოებზე- საბაზო და საშუალო საფეხურზე. სასურველია, გაკვეთილებზე** |

| | |
|---|---|
| | **გამოყენებული იყოს მარტივი, უსაფრთხო ექსპერიმენტები, მეტი ყურადღება დაეთმოს კეთებით სწავლებას.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმის ანალიზის მიხედვით იკვეთება, რომ თემის ფარგლებში სრულად არის დაფარული სტანდარტით განსაზღვრული შედეგები და სამიზნე ცნებები. სასწავლო რესურსების შერჩევა ეფუძნება გრძელვადიან საგანმანათლებლო მიზნებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების მიზანმიმართულობასა და თანმიმდევრულ განვითარებას.<br>სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის აქტიური მონაწილეობა და ჩართულობა. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა თავად აირჩიოს დავალების შესრულების გზა ან ფორმა, რაც ხელს უწყობს ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და სწავლის სტილის განვითარებას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, წარმოდგენილი კურიკულუმები შეესაბამება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას (თემები, შუალედური მიზნები, აქტივობები) და მათ განვითარებას (შემოქმედებითი პროდუქტი, შეფასება). კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ასაკობრივი თავისებურებები და ინტერესი.<br>**რჩევა - სასურველია, ორივე უცხოურ ენაში შემუშავებული კურიკულუმები ერთი ფორმატით იყოს წამოდგენილი**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის სრულფასოვან დაგეგმვას, კერძოდ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებსა და მუსიკის კურიკულუმებში სასწავლო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის სრულფასოვან დაგეგმვას, კერძოდ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებსა და მუსიკის კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისად არის დაგეგმილი ( დაწყებითი, საბაზო და საშუალო |

| | |
|---|---|
| | საფეხური) — თემები, აქტივობები და შეფასების ფორმები ერთმანეთს შეესაბამება და უზრუნველყოფს პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების შეჯამებისას ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომები და განვითარების ეტაპები. სკოლას დოკუმენტურად შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელსაც საგნობრივი პედაგოგები იყენებენ სასწავლო წლის დაგეგმვისას. როგორც სახელმწიფო ენის პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული აქვთ გასული აკადემიური წლის შედეგების ანალიზი, მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, სწავლების სუსტი და ძლიერ მხარეები, რათა ახალი სასწავლო წლის პროცესი დაიგეგმოს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური ბუნების დავალებების სახით.<br>**რჩევა - სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია გასწორდეს ტექნიკური შეცდომები, მეტი ყურადღება მიექცეს ინფორმაციების სათანადო გრაფებში განთავსებას. ყურადღება მიექცეს საგნობრივი კურიკულუმების როგორც** |

| | |
|---|---|
| | **შინაარსობრივ, ასევე ტექნიკურ და ვიზუალურ მხარეს, შემუშავდეს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| მათემატიკა | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის სისტემურ დაგეგმვასა და მეთოდურ განვითარებას. აღნიშნულ დოკუმენტებში მკაფიოდ განსაზღვრულია სავალდებულო სასწავლო თემები, მათთვის შესაბამისი სამიზნე ცნებები, აგრეთვე შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე სათანადოდ არის გათვალისწინებული მოსწავლეთა წინარე საგანმანათლებლო გამოცდილება და მათი ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებები.<br>**რჩევა - ყველა საფეხურის კურიკულუმში მიზანშეწონილად მიგვაჩნია რესურსების სვეტის სრულყოფილი შევსება, კერძოდ — სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდების, ელექტრონული საინფორმაციო წყაროების მისამართებისა და გამოყენებული მატერიალური რესურსების დეტალური მითითება. პარალელურად, სასურველია თემების სახელწოდებათა ფორმულირება შესაბამისობაში იყოს საგნობრივ სტანდარტთან, ხოლო კურიკულუმში ნათლად და სტრუქტურირებულად იყოს წარმოდგენილი თემების მიხედვით საათობრივი განაწილება.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | შემუშავებული კურიკულუმი სრულად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. იგი აგებულია იმგვარად, რომ მთავარი ფოკუსი გადატანილია მოსწავლის საჭიროებაზე,, შესაძლებლობასა და ინტერესებზე, რაც უზრუნველყოფს ეფექტიან და ინკლუზიურ სწავლას. გამოყენებულია მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც ზრდის ჩართულობასა და მოტივაციას.გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური ფიზიკური მომზადება და განვითარების ტემპი. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის |

| | |
|---|---|
| | დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, გაწერილი თემები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი აქტივობები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარებასა, ორგანიზებასა, თვითკონტროლსა .და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე.<br><br>**ინდიკატორი  დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიან მიზნებს. სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით. მოსწავლე თავად ირჩევს დავალების შესრულების გზას ან ფორმას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის (I–IV კლასების) კურიკულუმები —,,ქართულ ენაში", ,,მათემატიკაში", ,,ბუნებისმეტყველებასა" და ,,მე და საზოგადოებაში" უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს დაგეგმვასა და განვითარებას. მისი მიზანია სწავლების ორგანიზება თითოეული მოსწავლის უნარების, ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს ცოდნის სისტემურ და მიზანმიმართულ გადაცემას.<br>კურიკულუმი ასევე ქმნის შესაძლებლობას, რომ მრავალფეროვანი თემებისა და შემაჯამებელი დავალებების საშუალებით მოსწავლემ გაიღრმავოს ცოდნა და განივითაროს სხვადასხვა უნარი. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს აქტიურ და ჩართულ გარემოს, რაც ზრდის მოტივაციას და აუმჯობესებს სწავლის შედეგებს. ამასთან, იგი პასუხობს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს და ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებას.<br>მასწავლებლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ ახალი სასწავლო წლისათვის, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად, ისინი ეყრდნობიან გასული წლის გადამუშავებულ კურიკულუმებს. მათი პრაქტიკის მიხედვით  სასწავლო წლის ბოლოს კათედრებზე განიხილავენ მუშაობის პროცესში გამოვლენილ მიგნებებს და მათზე დაყრდნობით შეაქვთ ცვლილებები ახალ კურიკულუმებში. განსახორციელებელი |

| | |
|---|---|
| | შემოქმედებითი დავალებების გაცნობა მშობლებისათვის დავალების ბარათებით მიმდინარეობს.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

## 2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის წევრები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე,კათედრის შეხვედრებზე ხდება სხვადასხვა პროცესების გაანალიზება და შემდეგ გათვალისწინება.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმის ანალიზის მიხედვით იკვეთება, რომ თემის ფარგლებში სრულად არის დაფარული სტანდარტით განსაზღვრული შედეგები და სამიზნე ცნებები. სასწავლო რესურსების შერჩევა ეფუძნება გრძელვადიან საგანმანათლებლო მიზნებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების მიზანმიმართულობასა და თანმიმდევრულ განვითარებას.<br><br>სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის აქტიური მონაწილეობა და ჩართულობა. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა თავად აირჩიოს დავალების შესრულების გზა ან ფორმა რაც ხელს უწყობს ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და სწავლის სტილის განვითარებას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, წარმოდგენილი კურიკულუმები შეესაბამება ეროვნულ და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, კერძოდ, მოსწავლემ/მოსწავლეებმა შეძლონ წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია |

| | |
|---|---|
| | უცხოურ ენაზე/ენებზე. მიქცეულია ყურადღება შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარის განვითარებაზე.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ სტანდარტებსა და მიზნებს. თემატური მიმართულებები და სასწავლო აქტივობები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი, ანალიზისა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. დაწყებით, საბაზო საფეხურზე და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები თანმიმდევრულად ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიზნობრივ დაგეგმვას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები. კურიკულუმში წარმოდგენილ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებში გაწერილია სამიზნე ცნებები და შედეგები. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. თუმცა, რიგ შემთხვევებში იკვეთება მცირე უზუსტობებიც. ამის მიუხედავად, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებსაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა - სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემები გაიწეროს სტანდარტის მიხედვით. პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ კურიკულუმები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| მათემატიკა | წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს ყველა სამიზნე ცნების თანმიმდევრულ დამუშავებას. კურიკულუმში გაწერილი შემოქმედებითი ხასიათის დავალებები მიმართულია შესაბამისი მიზნების მიღწევისაკენ. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებების პარალელურად, პრაქტიკაში განხორციელებულია სხვა დავალებებიც — პროექტები და პრაქტიკული ამოცანები — რომლებიც ასევე ემსახურება შუალედური სასწავლო მიზნების ეფექტიან მიღწევას.<br>**რჩევა - ყველა საფეხურის კურიკულუმში სვეტის არსებული სახელწოდება „კომპლექსური დავალების იდეა" ჩანაცვლდეს დასახელებით „შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალება", რათა კურიკულუმში სრულყოფილად აისახოს ყველა იმ ტიპის დავალება, რომელიც ორიენტირებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე და მიმართულია შუალედური სასწავლო მიზნების მიღწევისაკენ.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ის სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, სწრაფი გადაწყვეტილება, ემპათია, გუნდურობა, პატივისცემა, ჰოლისტური განვითარება, ღირებულებების განვითარება, აქტიური და ჯანმრთელი მოქალაქის ჩამოყალიბებას. და განვითარებას. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. ყველა კლასის კურიკულუმში უპირატესობა ენიჭება შემოქმედებით დავალებებს. ეს ყველაფერი მთლიანობაში ხელს უწყობს ესგ–თი განსაზღვრული მიზნების მიღწევას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმები დაწყებითი საფეხურის (I-IVკლ) ,,ქართულ ენაში“, ,,მათემატიკაში“, ,,ბუნებისმეტყველებასა“ და ,,მე და საზოგადოებაში“ უკავშირდება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მის მიერ განსაზღვრულ მიზნებს. კურიკულუმები სრულ შესაბამისობაშია ესგ-ს საგნობრივ სტანდარტებთან. მათში მკაფიოდ არის გაწერილი კავშირი თემებს, საკითხებსა და სამიზნე ცნებებს შორის. კურიკულუმებით დაგეგმილია ისეთი აქტივობები, (ძირითადად შემოქმედებითი დავალებები) რომლებიც ხელს უწყობს ფუნქციური კომპონენტური უნარების განვითარებას, როგორებიცაა: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა და ნებელობა. სკოლამ გაითვალისწინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რჩევა და სრულყო კურიკულუმები.<br><br>მაგ: კლასის სახელმწიფო ენის კურიკულუმში გამორჩენილი იყო ცნება ,,გრამატიკა“ თუმცა, ამავე კურიკულუმით დასტურდებოდა, რომ ის მუშავდებოდა შესაბამისი აქტივობებით დავლების ფარგლებში.<br>**რჩევა - სასურველია, მე-4 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში, თემების ველში დარჩეს მხოლოდ 2 სავალდებულო თემა: ,,დედამიწა“ და ,,ციკლური პროცესები ბუნებაში“**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

**3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასწავლო პროცესის განხორციელების პერიოდში თვალსაჩინოებად სკოლა იყენებს გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებსა და ელექტრონულ რესურსებს. სკოლას არ აქვს ლაბორატორია, აქვს გარკვეული რაოდენობის ლაბორატორიული ჭურჭელი, ხელსაწყოები და რეაქტივები, რაც ფოტომასალით დასტურდება.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები, მათ შორის სასწავლო და საგანმანათლებლო მასალები, შესაბამისობაშია დაგეგმილ შედეგებთან და ქმნის საჭირო პირობებს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევისთვის.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედური მიზნების ძირითადი სასწავლო რესურსები და ინგლისური ენაში დამატებული დამხმარე რესურსები მიზნობრივია.<br>**რჩევა - სასურველია მეორე უცხოურ ენაში-რუსული, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების მიზნით მოხდეს დამატებითი დამხმარე რესურსების აქტიურად გამოყენებაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებასა და გამტკიცებას.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმში წარმოდგენილია ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისკენ. ორივე საგანში წარმოდგენილი რესურსები მრავალფეროვანია, რაც მასწავლებელსა და მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკითხი სრულფასოვნად განიხილონ და შეისწავლონ. რესურსების გამოყენება დასტურდება მოსწავლეთან ნამუშევრებშიც. |

| | **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსების ანალიზის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: კურიკულუმი მოიცავს როგორც სახელმძღვანელოს, ასევე, დამატებით ტექსტებს, აუდიო-ვიზუალურ მასალებს, ელექტრონულ რესურსებს, ანიმაციებს, დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს. ყველა რესურსი უკავშირდება სამიზნე ცნებებს და შედეგებს.<br>**რჩევა - სასურველია სამომავლოდ კურიკულუმის უფრო მეტად გამრავალფეროვნება საგანმანათლებლო რესურსებით, (საგანმანათლებლო რესურსების ბმულები, მასწავლებლების ან მოსწავლეების მომზადებული მოდიფიცირებული რესურსები და სხვ.), ამასთანავე სასურველია, უკვე არსებული რესურსები კურიკულუმებში აისახოს ბმულების სახით.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების თანმიმდევრულ და ეფექტიან მიღწევას. სასწავლო პროცესში აქტიურად და მიზნობრივად გამოიყენება როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახის რესურსები.<br>**რჩევა - სამივე საფეხურის კურიკულუმში სრულყოფილად აისახოს სასწავლო პროცესში გამოყენებული ყველა სახის რესურსი და დეტალურად მიეთითოს სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | მასწავლებელთან  გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ის სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით ,საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სკოლა უზრუნველყოფილია სათანადო ინვენტარით და რესურსებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს |

| | |
|---|---|
| | სათანადო დოკუმენტაცია სადაც ნამდვილად ჩანს სკოლის აქტიური ჩართულობა სპორტში. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ჯანმრთელი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებას და ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობის განვითარებას, ავითარებს ძირითადი ფიზიკურ უნარებისა და მოტორულ შესაძლებლობას, ამყარებს გუნდური მუშაობის, თანამშრომლობისა და სამართლიანი თამაშის პრინციპებს. ზრდის მოსწავლეთა პასუხისმგებლობას, თვითდისციპლინასა და მიზანდასახულობას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმში გაწერილია საჭირო საგანმანათლებლო და დამატებითი რესურსი. ასევე, გათვლილია ისეთი დავალებები, რომლის შესრულების დროს მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები – სასწავლო მასალები, ვიზუალური და ციფრული საშუალებები, ასევე თემატურად შერჩეული დამატებითი წყაროები – ეფექტურად გამოიყენება და ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას.<br>აღსანიშნავია, რომ რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლები მათ აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში, რაც დადებითად აისახება როგორც აკადემიური ცოდნის გაღრმავებაზე, ისე სოციალური უნარებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

**4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლა მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე ახორციელებს დიფერენცირებულ სწავლებას. გასაუბრებისას გაირკვა, რომ სხვადასხვა აქტივობაზე მუშაობისას, მასწავლებელები დავალებებს მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით ამზადებენ. მაგ. მოსწავლეთა პროექტებისა და კონფერენციებისთვის მომზადება. სსსმ მოსწავლეებისათვის კურიკულუმის ადაპტაცია და ისგ გეგმის შემუშავება ხდება ესგ- ით მითითებულ ვადებში, ყველა წესის დაცვით.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცესი აგებულია ინკლუზიური განათლების პრინციპებზე და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. სწავლების პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული მიდგომები, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და პროგრესს.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს მოსწავლეებთან დიფერენცირებულ მიდგომებს. ასევე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისთვის დამატებითი მხარდაჭერას რაც ასახულია წარმოდგენილ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალურ გეგმებსა და თამატურად შეთავაზებულ აქტივობებში.<br>**რჩევა - სასურველია, რომ კომპლექსურ დავალებებში დაგეგმონ უფრო მეტად მრავაფეროვანი დიფერენცირებული აქტივობების გამოყენება. მაგ., აირჩიე პროექტი, სასწავლო მენიუ და ა.შ. რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით.**<br>**დიფერენცირებული მიდგომის დროს სასურველია, კონკრეტული აქტივობების დავალებებში, გავითვალისწინოთ ყველა ტიპის და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ინტერესები.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრინციპები. სკოლა აცნობიერებს მოსწავლეთა ინდივიდუალური |

| | |
|---|---|
| | საჭიროებების გათვალისწინების მნიშვნელობას და აღნიშნული მიდგომები აღწერილია ზოგად მეთოდოლოგიურ დოკუმენტებში. სწავლების პროცესში იკვეთება დიფერენცირებული მიდგომები.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალების პირობის მოდიფიცირებას. მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას თავად აირჩიონ შესასრულებელი პროდუქტებიდან მათთვის სასურველი და მასზე იმუშაონ.<br>**რჩევა - კურიკულუმი ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების ელემენტებს შეიცავს, თუმცა ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესი ხასიათდება ინკლუზიური მიდგომით და მიმართულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებისაკენ. სკოლის მიერ წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ხოლო შემუშავებული ადაპტირებული დავალებები სრულ შესაბამისობაშია დასახულ სასწავლო მიზნებთან და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული სწავლების ეფექტიან განხორციელებას. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს კერძოდ :<br>• საგანმანათლებლო მიზნები.<br>• სასწავლო აქტივობები.<br>• შეფასების სისტემა.<br>• ინკლუზიური მიდგომა.<br>• პრაქტიკული მიმართულება.<br>აქტიურად იღებენ სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებას. როგორს ფორმალურ ისე არაფორმალურ სპორტულ ღონისძიებებში .იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა თავისებურებები, განსხვავებული სწავლის სტილი. ასევე, მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით მასწავლებელი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას იყენებს სხვადასხვა დიფერენცირებულ მიდგომებს, მაგალითად, აძლევს მათ არჩევანის საშუალებას დავალების შესასრულებლად, რაც აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე. მასწავლებელს შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმები.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების განხორციელებას სასწავლო პროცესში. ნათლად ჩანს მცდელობა, რომ სწავლა-სწავლება ორგანიზებული იყოს თითოეული მოსწავლის უნარების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებსა და მეთოდებს, რათა უზრუნველყონ ყველა მოსწავლის ჩართულობა. ისინი გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მიმდინარეობს მონიტორინგი როგორც განხორციელებული |

| | |
|---|---|
| | შემოქმედებითი დავალებების, ისე ყოველდღიური საშინაო დავალებების შესაფასებლად, ახალი საჭიროებების დასადგენად.<br>სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პედაგოგებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ ყველა მოსწავლე ერთნაირად ვერ უმკლავდება მათ წინაშე მდგარ ამოცანებს. ამიტომ, მასწავლებლებს სჭირდებათ როგორც დიფერენცირებული, ისე ინკლუზიური მიდგომების გამოყენება: მაგ, საჭიროების შემთხვევაში ქართულ ენაში მიმართავენ დასამუშავებელი ტექსტის დაყოფას შინაარსობრივ ნაწილებად, წერითი დავალებების მოდიფიცირებას და მორგებას კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებზე, დროის ლიმიტის გაზრდასა თუ არჩევითი დავალებების შეთავაზებას და სხვა. ცხადი ხდება, რომ სასწავლო გარემო ხელს უწყობს ინკლუზიურობის პრინციპების დაცვასა და ყველა მოსწავლის მხარდაჭერას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლა შეფასებას ახორციელებს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებებით. მონაცემები მუშავდება კათედრაზე და გაეცნობა სასკოლო საზოგადოებას.<br>განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა/ რუბრიკები საგნების მიხედვით ძირითადად სამიზნე ცნებებთან მიმართებაშია . მისი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა და მოსწავლეებში სწავლის თვითმართვის უნარის გამომუშავება. კურიკულუმები ძირითადად შედგენილია ესგ-ს მიერ შემოთავაზებული თემების მიხედვით. კურიკულუმებში ზოგ შემთხვევაში, მკაფიოდ არ ჩანს, რომელ შემოქმედებით პროდუქტზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები .<br><br>დაწყებითი საფეხური |

| | |
|---|---|
| | ბუნებისმეტყველება<br><br>რჩევა<br><br>1-ელი კლასი - მეორე თემაში სამიზნე ცნებები მეორე სვეტის ნაცვლად მესამე სვეტში წერია. სასურველია გასწორდეს. სასურველია, კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები დაკონკრეტდეს, ზოგ შემთხვევაში ბუნდოვანია, რომელ შემოქმედებით პროდუქტს ქმნის მოსწავლე.<br><br>წარმოდგენილია მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება, ცდის ოქმი, შემოქმედებითი დავალება შეფასების სისტემით , მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი დავალების პროდუქტი.<br><br>მე-2 კლასი - წარმოდგენილია მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება, ცდის ოქმი, შემოქმედებითი დავალება შეფასების სისტემით.<br><br>მე-3 კლასი - სასურველია, კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები დაკონკრეტდეს, ზოგ შემთხვევაში ბუნდოვანია, რომელ შემოქმედებით პროდუქტს ქმნის მოსწავლე.წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალება, შეფასების კრიტერიუმები ზოგადია. სასურველია, შეფასების კრიტერიუმები კონკრეტულ შემოქმედებით დავალებას შეესაბამებოდეს.<br><br>მე-4 კლასი - წარმოდგენილია მოსწავლეთა სემესტრული განმავითარებელი შეფასება, მოსწავლის ნამუშევარი, შემოქმედებითი დავალებები თავისი შეფასების კრიტერიუმებით, ტესტი, განმავიარებელი შეფასების კრიტერიუმებით.<br><br>მე-6 კლასი - წარმოდგენილია მე-6 კლასის სსსმ მოსწავლისთვის განკუთვნილი ისგ, დავალებები, რომელთაც თან ახლავს შეფასების კრიტერიუები, მოსწავლის მიერ შესრულებული ნამუშევარი. |

| | |
|---|---|
| | საბაზო საფეხური - ბიოლოგია<br><br>მე-7-10 კლასები - სამიზნე ცნებები დასაკორექტირებელია. მაგ. მე-7 კლასის პირველ თემაში არ არის ცნება „სასიცოცხლო თვისება" , ხოლო წარმოდგენილი ცნება „ტექნოლოგიები" სტანდარტით არ არის გათვალისწინებული.ყველა თემაშია დასაკორექტირებელი.<br>ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება უნდა იყოს დამუშავებული.<br><br>მე-8 კლასში ჩატარებულია შემოქმედებით პროდუქტზე განხორციელებული განმსაზღვრელი შეფასების ვერიფიკაცია , თუმცა, შემაჯამებლის ნიმუში წარმოდგენილი არ არის.<br><br>ქიმია - სასურველია, მე-8 და მე-9 კლასის კურიკულუმებში ყველა თემაში სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება იყოს დამუშავებული.წარმოდგენილი სამიზნე ცნებები საშუალო საფეხურის სამიზნე ცნებებს შეესაბამება. წარმოდგენილ შემოქმედებით პროდუქტს (ნეიტრალიზაცია) ჯობს თან ახლდეს შეფასების კრიტერიუმები.<br><br>საშუალო საფეხური:<br><br>ბიოლოგია - საურველია ჩანდეს , სტანდარტით განსაზღვრულ რომელ შედეგს მიაღწევს მოსწავლე კონკრეტული თემის, საკითხის დამუშავების შემდეგ. ასევე, კარგი იქნება საშუალო საფეხურზე შემოქმედებით დავალების თან ახლდეს შეფასების კრიტერიუმები .<br>ფიზიკა<br><br>სასურველია , წარმოდგენილი იყოს შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების კრიტერიუმები.<br><br>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | მოსწავლის შეფასების სისტემა სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებსა და ამოცანებთან. შეფასების პროცესი ეფუძნება როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის სწავლის პროგრესის სისტემატურ მონიტორინგს და მიღწეული შედეგების ობიექტურ განსაზღვრას.  შეფასების კრიტერიუმები არის გამჭვირვალე და წინასწარ განსაზღვრული, რაც მოსწავლეებს აძლევს მკაფიო წარმოდგენას მოლოდინებზე და ეხმარება მათ თვითშეფასებისა და თვითრეფლექსიის უნარების განვითარებაში. პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არა მხოლოდ საბოლოო შედეგს, არამედ სწავლის პროცესს, ძალისხმევასა და ინდივიდუალურ პროგრესს. ასევე გამოყენებულია მრავალფეროვანი შეფასების ფორმები და ინსტრუმენტები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა განსხვავებულ შესაძლებლობებსა და სწავლის სტილს. შესაბამისად, შეფასების სისტემა ხელს უწყობს სამართლიან, თანასწორ და განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, უცხოური ენების კათედრას შემუშავებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები, მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმები, ასევე, ინგლისურ ენაში იყენებს დიაგნოსტიკურ წერას, რომლის მიზანია: ცოდნის დონის დიაგნოსტირება, პრობლემის აღმოჩენა და გასაუმჯობესებელი გზების ძიება.<br>**რჩევა - განმსაზღვრელი შეფასებისთვის, სასურველია შეიქმნას თემის ფარგლებში გასავლელი დავალებების, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და ინდიკატორებზე ორიენტირებული კონკრეტული კრიტერიუმები.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლას  წარმოდგენილი აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. დოკუმენტაციაში გაწერილია შეფასების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის  განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. ასევე წარმოდგენილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები, რაც |

| | |
|---|---|
| | უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობასა და გამჭვირვალობას. აღნიშნული მიდგომები ქმნის პირობებს მოსწავლის აკადემიური პროგრესის დაკვირვებისა და სწავლის შედეგების შეფასებისთვის.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სახელმწიფო ენა | შეფასების რუბრიკები შემუშავებულია სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის სავალდებულო მინიმუმი, წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიანი მიზნებს. **რჩევა - სასურველია, შეიქმნას რუბრიკები ან შეფასების კრიტერიუმები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის, რომლებშიც ნათლად იქნება გაწერილი, რა დონეზეა მიღწეული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ, კონკრეტულად რა კომპონენტებში სჭირდებათ გაუმჯობესება. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება უნდა ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს. სასურველია, სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს სამივე საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით, შეარჩიოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| მათემატიკა | შეფასების სისტემა სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების მრავალმხრივ და სისტემურ შეფასებას. სკოლაში წარმატებით გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების მიდგომები, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების ყოვლისმომცველ შემოწმებასა და სათანადო ანალიზს. შეფასების პროცესში აქტიურად |

| | |
|---|---|
| | გამოიყენება კრიტერიუმებზე დაფუძნებული რუბრიკები, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების სათანადო ობიექტურობასა და გამჭვირვალობას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდის საგანში სკოლას აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ფიზიკ. აღზრდასა და სპორტის სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები, სტრატეგიები და აქტივობები სრულადნ შეესაბამება თანამედროვე პედაგოგიურ მოთხოვნებს და ეფექტურად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობასა და განვითარებას კერძოდ:<br><br>• სწავლების მეთოდები.<br>• აქტივობები.<br>• ინკლუზიური მიდგომა. უსაფრთხოების ნორმები.<br>• მოტივაციის ამაღლება.<br>• შეფასება და უკუკავშირი.<br><br>სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტებია გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით.მასწავლებელი აქტუალურად იყენებს სიტყვიერ შეფასებაა.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შეფასების კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებს. წარმოდგენილ მოსწავლეთა ნამუშევრებს დართული აქვს რუბრიკის მიხედვით გაკეთებული, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა როგორც თემისა და საკითხის გააზრებას, ისე სხვადასხვა უნარის შეფასებას, რაც შეესაბამება მრავალმხრივი შეფასების თანამედროვე მოთხოვნებსა და მიდგომებს.აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები იყენებენ წინასწარ გაწერილ კრიტერიუმებს, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და ვალიდურობას. ამასთან, სკოლა სისტემატურად აანალიზებს შეფასების შედეგებს. პრაქტიკაში გამოიყენება სტანდარტის შედეგებზე მორგებული განმავითარებელი შეფასების ფორმები, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ: მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და შეუძლიათ შეიმუშაონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები, როგორიცაა მაგ. ბუნებისმეტყველებაში მე-2 და მე-3 კლასის შემოქმედებითი ტიპის დავალებებისათვის შექმნილი შეფასების რუბრიკები, რათა მათი საშუალებით დადასტურდეს სასწავლო მასალის ათვისების შესაბამისობა ესგ-ის პრინციპებთან, მიზნებთან და ამოცანებთან.<br>**რჩევა - სასურველია, სკოლამ დაწყებით საფეხურზე ყველა საგანში შექმნას და გამოიყენოს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *შემოქმედებითი ტიპის დავალებების ამსახველი მასალა შესაბამისი შეფასების რუბრიკებით;*
- *ქართული ენისა ლა ლიტერატურის კათედრის ოქმის სხდომა N1 04.09.25 (დანართი 2) - ძირითადი და დამხმარე რესურსების დამტკიცების შესახებ;*
- *დამხმარე რესურსები*
- *დიაგნოსტიკური ტესტები*

- *ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა: „ფიგურების არქიტექტურული ქალაქი“ - საგანი: მათემატიკა/ სახ. და გამოყ. ხელოვნება      კლასი: მე–4 კლ.*
- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მატრიცა;*
- *კვლევა _მოსწავლეების;*
- *მოსწავლის კომპლექსური შეფასებისა და წახალისების წესი;*
- *შეფასების რუბრიკები*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა*
- *გაკვეთილის შეფასება( გაკვეთილზე დასწრება);*
- *დამატებითი რესურსების ვალიდაციის ოქმი;*
- *ლაბორატორიის ფოტომასალა;*
- *ოქმები;*
- *სსსმ მოსწავლეთა ნამუშევარი;*
- *მოსწავლის ნაშრომის შეფასება;*
- *შეფასების სქემა;*
- *შემაჯამებლის ანალიზი*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების  მეთოდოლოგია*
- *ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის ანგარიში*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*
-

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება
### 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | მასწავლებლები კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო კურიკულუმის განხორციელებასა და განვითარებაზე. სისტემატურად ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება.იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები , ურთიერთდასწრება. სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული მოთხოვნებისა და მიზნების შესაბამისად. დაგეგმვისას გათვალისწინებულია თემატური თანმიმდევრობა, სწავლის შედეგები და ასაკობრივი თავისებურებები, რაც უზრუნველყოფს სწავლების სისტემურობასა და მიზანმიმართულობას.<br>გაკვეთილები და აქტივობები აგებულია კურიკულუმში ასახულ პრინციპებზე დაყრდნობით და მიმართულია როგორც ცოდნის შეძენაზე, ისე უნარების განვითარებაზე. შესაბამისად, სასწავლო პროცესი სრულ შესაბამისობაშია სასკოლო კურიკულუმთან.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, სასწავლო პროცესი დაგეგმილია კათედრის მიერ შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის მიხედვით, რომელშიც ჩაშლილია თემატური ერთეულები, შუალედური მიზნები, რესურსები, აქტივობები და შედეგები<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისად არის დაგეგმილი — თემები, აქტივობები და შეფასების ფორმები ერთმანეთს შეესაბამება და უზრუნველყოფს პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარით, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს.<br>**რჩევა - კურიკულუმებში წარმოდგენილია დავალების იდეები, თუმცა არ არის დეტალურად აღწერილი შეფასების კრიტერიუმები ან მეთოდები. შეფასების რუბრიკების ან კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტების დამატება გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის ეფექტურობასა და ობიექტურობას.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| მათემატიკა | წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და წარიმართება სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. კურიკულუმთან სრული შესაბამისობის ფარგლებში განხორციელებულია |

| | |
|---|---|
| | თემებისა და სამიზნე ცნებების თანმიმდევრული და სისტემური დამუშავება. თითოეული თემის ფარგლებში შესრულებულია როგორც შემაჯამებელი სამუშაოები, ისე შემოქმედებითი ხასიათის დავალებები, რაც ერთობლივად უზრუნველყოფს დაგეგმილი სასწავლო პროცესის მიზანმიმართულ და შედეგზე ორიენტირებულ განხორციელებას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის სრული შესაბამისობით. დაგეგმვა ეფუძნება განსაზღვრულ მიზნებს, სტანდარტებსა და შედეგებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრობასა და ეფექტიანობას. კერძოდ:<br>• სასწავლო მიზნები და ამოცანები მკაფიოდ არის გაწერილი და შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს.<br>• გამოყენებული აქტივობები და მეთოდები შერჩეულია კურიკულუმის მიზნებითან შესაბამისობაში.<br>• შეფასების სისტემა ასახავს კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგს.<br>• დაცულია ტანმიმდევრობა და ლოგიკური განვითარება კლასიდან კლასამდე.<br>მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, ეს დოკუმენტებითაც დასტურდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობისათვის.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლაში სასწავლო პროცესი იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. პედაგოგები სწავლების დაგეგმვისას ეყრდნობიან კურიკულუმში წარმოდგენილ თემებს, შემაჯამებელი დავალებების იდეებს, სამიზნე ცნებებსა და სასწავლო მიზნებს.<br>სასწავლო ერთეულების დამუშავება წარიმართება კურიკულუმებში განსაზღვრული მიზნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლის პროცესის თანმიმდევრულობასა და მიზანმიმართულობას. ამასთან, სკოლაში არსებული კურიკულუმები არა მხოლოდ შეესაბამება პრაქტიკულ სწავლებას, არამედ წარმოადგენს სასწავლო პროცესის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე და ახორციელებს შესაბამის მიდგომებს სასწავლო პროცესში. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს სკოლა სთავაზობს დამატებით მხარდაჭერას დამატებითი მეცადინეობისა და რემედიაციის პროგრამის სახით. მოსწავლეთა ფსიქო- სოციალური პრობლემების გადასაჭრელად სკოლა სთავაზობს ფსიქოლოგის მომსახურებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალსწინებით ხორციელდება კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა და განხილვა კათედრებზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალებების მოდიფიცირება ფორმის და შინაარსის მიხედვით. სწავლა-სწავლების პროცესში მუდმივად ხორციელდება კურიკულუმის დანერგვაზე დაკვირვება და შესაბამისი ინტერვენციების შემუშავება. სკოლა იყენებს უკუკავშირის ისეთ მექანიზმებს როგორიცაა პედაგოგიური საბჭოს სხდომები, მშობელთა შეკრებები, სადამრიგებლო საათები, რაც უზრუნველყოფს საჭიროებების დროულად იდენტიფიცირებას. არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ მოსწავლეთა, მშობლებისა და პედაგოგიური გუნდის მხრიდან გამოვლენილ საჭიროებებზე სკოლა დროულად რეაგირებს. ამის მაგალითია მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესის გათვალისწინებით კლასის გაყოფა უცხო ენაში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა კათედრის მიერ, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის,შეფასებას სამი კომპონენტით ახორციელებენ, საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი დავალებები. დოკუმენტაციით, კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კათედრას აქვს ხედვა, თუ როგორ უნდა მოახდინოს დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი. შეფასების სისტემა გამჭვირვალე და ვალიდურია.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | შეფასების სისტემა ხასიათდება ვალიდურობით, გამჭვირვალობით, სანდოობით, ობიექტურობითა და სამართლიანობით. გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები და კრიტერიუმები უზრუნველყოფს, რომ შეფასება ასახავდეს მოსწავლის რეალურ ცოდნასა და უნარებს და შეესაბამებოდეს განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს.<br><br>შეფასების პროცესი არის წინასწარ სტრუქტურირებული და მკაფიო, რაც გამორიცხავს სუბიექტურ გავლენებს და უზრუნველყოფს ერთგვაროვან მიდგომას ყველა მოსწავლის მიმართ. მიღებული შედეგები ეფუძნება ერთიან, სტანდარტიზებულ კრიტერიუმებს, რაც ზრდის შეფასების სანდოობასა და ობიექტურობას.ასევე, მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია შეფასების პრინციპებისა და კრიტერიუმების შესახებ, რაც ზრდის პროცესის გამჭვირვალობას და ხელს უწყობს სამართლიანი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| უცხოური ენები | სკოლაში არსებული ვერიფიკაციის ფორმის მიზანია დაადასტუროს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლა, მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს აფასებს ათქულიანი სისტემით ოთხი დონის მიხედვით:(მაღალი, |

| | |
|---|---|
| | საშუალოზე მაღალი, საშუალო და დაბალი) . ასევე, უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ფორმები ორივე უცხოური ენისთვის, რომელშიც გამოკვეთილია სამიზნე ცნებები საფეხურის მიხედვით შესაბამისი ინდიკატორებით.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | შეფასების სისტემა დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებზე. გამოყენებულია როგორც ტესტური, ასევე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების პროცესი გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს მოსწავლეთა შედეგების რეგულარულ ფიქსირებას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სახელმწიფო ენა | სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული ინდიკატორის დამამტკიცებული დოკუმენტაცია (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი) რუბრიკები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.<br>**რჩევა - სასურველია, ყველა საფეხურზე შემუშავდეს ყველა შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასება უნდა ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს. შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება, მეტად გამოიყენონ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე თუ შემოქმედებით პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა სრულ შესაბამისობაშია ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებთან. წარმოდგენილ შემაჯამებელ და შემოქმედებით დავალებებს თან ახლავს წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, რომლებიც ინტერვიუს მიხედვით, მოსწავლეებისთვის წინასწარვეა ცნობილი.<br>**რჩევა - დავალებებში მკაფიოდ იყოს მითითებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები, რაც ნათელს გახდის შეფასების ვალიდურობას. აგრეთვე, სასურველია ტესტებში თითოეულ დავალებაზე მისანიჭებელი ქულა წინასწარ და მკაფიოდ იყოს მითითებული, რაც შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას კიდევ უფრო განამტკიცებს.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | ფიზიკურ აღზრდასა და სპორტის შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების სწორად და სრულყოფილად შეფასებას.<br>სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები,. შეფასების რუბრიკა გამჭირვალეა და მოსწავლეებს კარგათ აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა. სადაც აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით.მასწავლებელი აქტუალურად იყენებს სიტყვიერ შეფასებას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებელთან გასაუბრება ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ძალისხმევა, პასუხისმგებლობა, ჩართულობა და საკუთარი ნააზრევის გადმოცემის უნარი.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | აღსანიშნავია, რომ სკოლა დაწყებით საფეხურზე იყენებს მრავალფეროვან რუბრიკებს ცოდნისა და უნარების შესაფასებლად, რიგ შემთხვევაში მიმართავს SOLO შეფასებას. პრაქტიკაში გამოიყენება ასევე კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, ითვალისწინებს აქტივობის შინაარსსა და მიზანს. მათში გაწერილია შეფასების კრიტერიუმები, რაც მოსწავლეებსა და მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, წინასწარ გაეცნონ შეფასების სტანდარტებს.<br>თუმცა, დოკუმენტებით არ მტკიცდება შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტის არსებობა, რაც შეფასების პროცესის სანდოობას, ვალიდურობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას დაადასტურებდა.<br>**რჩევა - სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობით განახორციელებს შეფასების ვალიდურობის სანდოობის, გამჭვირვალეობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის შემოწმებას.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

## 4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპებისა და მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საგნობრივ კათედრებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლა-სწავლების პროცესის პერიოდულ ანალიზს და რეკომენდაციების შემუშავებას. სკოლაში არსებობს მოსწავლეთა კომპლექსური შეფასებისა და წახალისების პრაქტიკა. მასწავლებლები ქმნიან შეფასების მრავალფეროვან რუბრიკებს. ცალკეული კლასისითვის წარმოდგენილია შემოქმედებით პროდუქტზე განხორციელებული განმსაზღვრელი შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი , თუმცა, შემაჯამებლის ან- შემოქმედებითი პროდუქტის ნიმუში წარმოდგენილი არ არის. არ არის გასაგები, როგორ ჩატარდა აღნიშნული პროცესი

**სკოლას არ აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.**

**არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (შემუშვებული და დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი), რომლითაც დასტურდება, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა სათანადო შეფასებასა და აღრიცხვას ელექტრონულ ჟურნალში, რომლის მონიტორინგი პერიოდულად ხორციელდება. წინა წლების დოკუმენტაცია, კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები, კლასების და საგნების მიხედვით ფორმები შენახული და დაცულია სკოლის არქივში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *არაფორმალური განათლ. პროექტების ამსახველი მასალები;*
- *საგნობრივი კურიკულემები*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *მოსწავლის კომპლექსური შეფასებისა და წახალისების წესი;*
- *ქართულის კათედრის ოქმი ;*
- *შეფასების რუბრიკები*
- *კვლევა _მოსწავლეების;*
- *მოსწავლის კომპლექსური შეფასებისა და წახალისების წესი;*
- *სამოქმედო გეგმა*
- *გაკვეთილის შეფასება( გაკვეთილზე დასწრება);*
- *პროექტი- ეს უნდა იცოდე;*
- *სსსმ მოსწავლეთა ნამუშევარი;*

- *შემოქმედებითი დავალება*
- *შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების კრიტერიუმები;*
- *ეკოკლუბის სამოქმედო გეგმა;*
- *მოსწავლის ნასრომის შეფასება;*
- *სასარგებლო წიაღისეულის ბარათი;*
- *დავალების ბარათი-VIII-კლასი;*
- *ვალიდაციის ოქმი.*
- *შეფასების სქემა;*
- *შემაჯამებლის-ანალიზი*

### 2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები არის სახელმძღვანელო და ელ. რესურსები, გარკვეული ხელსაწყოები, პლაკატები. სკოლას არ აქვს ლაბორატორია, აქვს გარკვეული რაოდენობის ჭურჭელი, ხელსაწყოები და რეაქტივები, რაც კურიკულუმით განსაზღვრული ცდების ჩატარების საშუალებას იძლევა.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი ძირითადი და დამხმარე რესურსებით, რომლებიც სრულად შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. გამოყენებული მასალები ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს თემების სიღრმისეულ გააზრებას. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები, რაც აძლიერებს მოსწავლეთა ინტერესსა და ჩართულობას. რესურსები შერჩეულია |

| | |
|---|---|
| | მიზნობრივად და მათი გამოყენება ემსახურება ცოდნის განმტკიცებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში,კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი რესურსები / გრიფირებული სახელმძღვანელოები გამოიყენება. ასევე, სამივე საფეხურზე, ინგლისურ ენაში გამოყენებულია დამხმარე სასწავლო რესურსებიც.<br>**რჩევა - სასურველია მეორე უცხოურ ენა რუსულშიც აქტიურად იყოს გამოყენებული მეტი დამხმარე სასწავლო რესურსები, წიგნების ან ელექტრო ვესიების სახით.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსები და ისინი შეესაბამება კურიკულუმში მითითებულ მასალებს. მასალები  გამოირჩევა მრავალფეროვნებით როგორც ვიზუალური ასევე აუდიო ფაილები, ფილმები, ვიზუალური ენციკლოპედიები და სხვა.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის  კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, სამინისტროსთან კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელოები) და დამხმარე სასწავლო რესურსები (ონლაინ ვიდეო რესურსები, ძირითადად YouTube-ზე განთავსებული გაკვეთილების ანალიზები და ფილმები). |

| | |
|---|---|
| | **რჩევა - ყველა საფეხურზე,მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული რესურსები კარგი დამხმარე საშუალებაა, სასურველია, დაემატოს სხვა ტიპის რესურსებიც, რათა დაკმაყოფილდეს მოსწავლეთა განსხვავებული ინტერესები. მაგალითად: ინტერაქტიული სავარჯიშოები - ენობრივი და ლიტერატურული მასალის გასამყარებლად. პოდკასტები/აუდიოწიგნები - განსაკუთრებით ლიტერატურული ნაწარმოებების ან მათი ანალიზებისთვის. ონლაინმუზეუმები და ვირტუალური ტურები: თუ შესაძლებელია ნაწარმოებებთან ან ავტორებთან დაკავშირებული ადგილების ვირტუალური მონახულება (მაგალითად, მწერლის სახლ-მუზეუმები). სამეცნიერო-პოპულარული სტატიები და ესეები - ლიტერატურულ კონტექსტსა და კონკრეტულ თემებზე ცოდნის გასაღრმავებლად.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები სრულად შეესაბამება საგნის თემატიკას და ორიენტირებულია მოსწავლეთა მიერ სასწავლო მასალის სიღრმისეულ გააზრებაზე.<br>**რჩევა - ყველა საფეხურის კურიკულუმში დეტალურად აისახოს როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები. კერძოდ, მითითებული უნდა იქნეს სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები, დაზუსტებული — გამოყენებული ელექტრონული წყაროების (ბმულების) მისამართები, ასევე ჩამოთვლილი — სასწავლო პროცესში გამოყენებული მატერიალური რესურსები.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდის სწავლა-სწავლების პროცესის დროს აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას და განვითარებას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები ფეხბურთის, ხელბურთის და |

| | |
|---|---|
| | კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშებით, ლაშქრობა) და თეორიული (მაგ., დაბალანსებული კვება, ჰიგიენა) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები: school.emis.ge; code.org, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამები, ვიდეორგოლები და სხვა.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს – „კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში“. სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ძირითადი რესურსები, ასევე სხვადასხვა ტიპის დამხმარე მასალები.<br>მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ ისე, რომ მოსწავლეები ჩართული იყვნენ მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებაში. კურიკულუმებით დასტურდება როგორც ვიზუალური, ასევე აუდიო და ციფრული მასალების გამოყენება, რაც ხელს უწყობს თემების უკეთ გააზრებასა და მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. რესურსების შერჩევა მიზანმიმართულია და შეესაბამება როგორც გაკვეთილის მიზნებს, ისე მოსწავლეთა საჭიროებებს.<br>**რჩევა - სასურველია, ქართული ენის პირველი და მე-3 კლასის კურიკულუმები გამდიდრდეს ელ რესურსებით. მათ შორის კურიკულუმში მოხსენიებულ ზოგიერთ რესურსს (ფილმი, პლატფორმა…) მიეცეს ბმულის ფორმატი.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლას შემუშავებული აქვს დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი. წარმოდგენილია აქვს დამხმარე რესურსების ვალიდაციის ოქმები-დაწყებითი საფეხურის, საბაზო საფეხურის,საშუალო საფეხურის.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სისტემური და მიზანმიმართული მიდგომით. რესურსების შერჩევისა და გამოყენების პროცესში გათვალისწინებულია მათი შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან, ასაკობრივ თავისებურებებთან და სასწავლო შედეგებთან.<br>ვალიდაციის პროცესი გულისხმობს როგორც რესურსების შინაარსობრივ, ისე მეთოდოლოგიურ შეფასებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი სანდოობა, ხარისხი და საგანმანათლებლო ღირებულება. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლის პროცესში მხოლოდ ეფექტიანი და მიზანშეწონილი მასალების გამოყენებას.შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხიან ვალიდაციას, რაც დადებითად აისახება სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობაზე.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, სკოლის მიერ დადგენილი წესების მიხედვით, კურიკულუმის შემუშავების ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე, სადაც  მიმდინარეობს ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების დაგეგმვა, გადახედვა და გაზიარება.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევას შინაარსობრივი შესაბამისობისა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. რესურსების შერჩევა ხორციელდება მასწავლებლების მონაწილეობით და გამოიყენება სასწავლო პროცესში მიზნობრივად. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სახელმწიფო ენა | როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა. კურიკულუმის დოკუმენტებში არ არის მოცემული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ამ დამხმარე რესურსების შერჩევა, შეფასება ან დამტკიცება. არ არის მითითებული კრიტერიუმები, ვის მიერ ხდება ვალიდაცია, ან რა პერიოდულობით ხდება მათი გადამოწმება, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღწერეს თანამშრომლობის პროცესები, რომ თავად ირჩევენ რესურსებს საკუთარი გამოცდილებისა და შეფასების საფუძველზე და ერთმანეთს უზიარებენ.<br>**რჩევა - სასურველია, ყველა საფეხურზე, კათედრამ დანერგოს პრაქტიკა, რომლითაც მასწავლებლებს და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებსაც შეეძლებათ უკუკავშირის მიცემა გამოყენებული რესურსების შესახებ, რათა მათი ეფექტურობა მუდმივად გაუმჯობესდეს. ამგვარი პრაქტიკის დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დამხმარე რესურსების ხარისხს და უზრუნველყოფს, რომ ისინი მართლაც ეფექტურად ემსახურონ სასწავლო მიზნებს.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| მათემატიკა | სკოლაში დანერგილია დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და ვალიდაციის მექანიზმი. რესურსების შერჩევა და მათი შესაბამისობის დადგენა საგნობრივ პროგრამებთან წარმოებს საგნობრივი კათედრების ფარგლებში. აღნიშნული რესურსები ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე, ხასიათდება შინაარსობრივი სისწორით, პრაქტიკული ეფექტიანობით და სრულად პასუხობს სასწავლო პროცესის არსებულ საჭიროებებს.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| სპორტი | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც ნიშნავს ,რომ გამოყენებული მასალები წინასწარ არის შერჩეული, შემოწმებული და შესაბამისობაშია როგორც სასკოლო კურიკულუმებთან, ისე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. მათზე მუშაობის პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, მასწავლებელიც გვიდასტურებს, რომ კათედრაზე ხდება დამხმარე რესურსის შერჩევა.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლა აკმაყოფილებს აღნიშნულ ინდიკატორს. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხორციელდება განსაზღვრული პროცედურების დაცვით, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და საგნობრივ სტანდარტებთან. დოკუმენტებით მტკიცდება და მასწავლებლები ინტერვიუს დროს ადასტურებენ, რომ სკოლაში მოქმედებს შეთანხმებული მიდგომა რესურსების შერჩევის პროცესში – ისინი კათედრაზე განიხილავენ ახალ სასწავლო მასალებს და აფასებენ მათ მიზნობრიობას. შერჩევისას უპირატესობა ენიჭება იმ რესურსებს, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ, კოგნიტურ და საგნობრივ საჭიროებებს.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლას არ აქვს ლაბორატორია, აქვს გარკვეული რაოდენობის ლაბორატორიული ჭურჭელი, ხელსაწყოები და რეაქტივები.თვალსაჩინოებები პლაკატების სახით. პირველ რიგში, აუცილებელია, ყველა რეაქტივს ჰქონდეს წარწერა. მაგ. ფოტოზე მოჩანს ბოთლი, რომლის ეთიკეტი და თავსახური დაზიანებულია. ასევე, რეაქტივები არ უნდა ინახებოდეს პოლიეთილენის პარკებში.<br><br>**სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლა მომავალი წლის ბიუჯეტში გაითვალისწინებს ლაბორატორიის განახლებას, თუმცა როდის უზრუნველყოფს ლაბორატორიის მოწყობას, არ იკვეთება.**<br><br>**არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ სკოლამ მოაწყო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ლაბორატორიაში არ არის ამწოვი კარადა.**<br><br>**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისაბოსი გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნლვეყოფს ამწოვი კარადის შეძენას.**<br><br>**შესრულების ვადა - 22..05.2027**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რომლებიც შეესაბამება სასწავლო პროცესის მოთხოვნებსა და მიზნებს. სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და რესურსებით, რაც ხელს უწყობს ეფექტიან სწავლა-სწავლების პროცესს. |

| | |
|---|---|
| | ამასთან, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო, კომფორტულ და ორგანიზებულ სასწავლო გარემოს შექმნას. სივრცის ოპტიმალური გამოყენება საშუალებას იძლევა თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს თანაბარი წვდომა რესურსებზე და აქტიურად იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში. შესაბამისად, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფა და კლასის დატვირთვის რეგულირება ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, მოსწავლეებთან სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | სასწავლო პროცესის ორგანიზება და რესურსების გამოყენება გათვალისწინებულია მოსწავლეთა რაოდენობისა და კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად. არსებული მატერიალური რესურსი საკმარისია სწავლის შედეგების მისაღწევად.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სახელმწიფო ენა | სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სასწავლო მასალებითა და ტექნოლოგიებით: ძირითადი სასწავლო რესურსით - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, გრაფიკული ორგანიზატორებით, ციფრული რესურსებით, კომპიუტერით, პროექტორით, ინტერნეტთან წვდომითა და ინკლუზიური მასალებით. მასწავლებლები რესურსებს არჩევენ აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| მათემატიკა | სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევა შესაძლებელია სათანადო მატერიალური რესურსით, რომელიც სრულად პასუხობს მოსწავლეთა ადგილების რაოდენობას და |

| | |
|---|---|
| | მათთვის ხელმისაწვდომია. კურიკულუმებში ასახულია სხვადასხვა ტიპის, მათ შორის ელექტრონული რესურსების გამოყენების პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის მრავალფეროვნებას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით და სრულად გათვალისწინებული მოსწავლეთა  ადგილების ზღრული რაოდენობა. სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო სპორტული ინვენტარითა და ინფრასტრუქტურით, რაც იძლევა შესაძლებლობას თითოეულ მოსწავლეს აქტიურად და უსაფრთხოდ ჩაერთოს  საგაკვეთილო პროცესში.<br>ასევე  სკოლა აქტიურად მიმართავს პროექტულ სწავლებას . ბავშვები მონაწილეობას ღებულობნ სასკოლო ფესტივალებში, მოძრავ თამაშებში,  სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე, რესურსები,პრეზენტაციები  ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კომპიუტერულ ლაბორატორიაში. (კომპიუტერები, პროექტორი, ინტერნეტი).<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს – „კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით“. სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური ბაზით, რომელიც მოიცავს როგორც საბაზისო, ისე საგნობრივ და ტექნოლოგიურ რესურსებს. |

| | |
|---|---|
| | სასწავლო სივრცეები შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება დადგენილ ზღვრულ ნიშნულს, რაც ინდივიდუალური მიდგომის შესაძლებლობას ქმნის.<br>სკოლა უზრუნველყოფს აუდიტორიების შესაბამისობას როგორც ასაკობრივ, ისე საგნობრივ მოთხოვნებთან. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, გაამრავალფეროვნონ გაკვეთილები ვიზუალური, პრაქტიკული და ციფრული რესურსების გამოყენებით. რესურსების განაწილება ხდება კურიკულუმის მოთხოვნებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის განხორციელებას. სკოლაში დასაქმებული პედაგოგები ფლობენ შესაბამის საგნობრივ განათლებასა და პროფესიულ სტატუსს (უფროსი, წამყვანი), რაც დასტურდება მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლით. თითოეულ საგანს, ძირითადად, ასწავლის შესაბამისი კომპეტენციის მქონე პედაგოგი. გამონაკლისს წარმოადგენს საგანი მე და საზოგადოება, რომელსაც ასწავლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი და რომელის კოპეტენცია (კომბინირებული 1-4 კლასი) მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით არ იძლევა მე და საზოგადოების სწავლების უფლებას.

**დაწყებით კლასებში, საგანს „მე და საზოგადოება" ასწავლის დაწყებითი კლასების პედაგოგი, რომლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას („ზოგადი განათლების" შესახებ კანონი - მუხლი 213; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის №108/ნ ბრძანება საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე - მუხლი 11).**

**არგუმენტირებულ პოზიციასთან, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს რომ საგნის „მე და საზოგადოების“ მასწავლებელი ჩანაცვლდა კადრით, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *წრეები, პროექტები;*
- *მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია*
- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *შეფასების რუბრიკები*
- *შემოქმედებითი ტიპის დავალების ნიმუშები*
- *მოსწავლის მიერ შესრულებული  დავალებები*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები*
- *ინტეგრირებული გაკვეთილები*
- *შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები*
- *დავალების ბარათი*
- *ქართული ენისა ლა ლიტერატურის კათედრის ოქმის - სხდომა N1 04.09.25 (დანართი 2) - ძირითადი და დამხმარე რესურსების დამტკიცების შესახებ;*
- *დამხმარე  რესურსები*
- *დიაგნოსტიკური ტესტები*
- *ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა: „ფიგურების არქიტექტურული ქალაქი“ - საგანი: მათემატიკა/ სახ. და გამოყ. ხელოვნება       კლასი: მე–4 კლ.*
- *ბუნებისმეტყველება (4-6 კლასის კურიკულუმები, ტესტების ნიმუშები, შემოქმედებითი დავალების ამსახველი დოკუმენტი);*
- *დამატებითი რესურსების ვალიდაციის ოქმი;*

- *ლაბორატორიის ფოტომასალა;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები, მის განვითარებაზე პასუხისმგებული პირები, როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ პედაგოგები კურიკულუმის განვითარებას მოიაზრებენ ციკლურ პროცესად და განიხილავენ მას სასწავლო პროცესის თანმდევ ნაწილად.

კურიკულუმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობით ხდება. კონკრეტულად, კათედრაზე ერთად შეიმუშავებენ ურთიერთდასწრებისა და ურთიერთშეფასების გეგმასა და ინსტრუმენტებს, ამზადებენ რეკომენდაციებს და გამოვლენილ პრობლემაზე ორიენტირებულად გეგმავენ მოსწავლეებისთვის საჭირო აქტივობებს. კურიკულუმის მონიტორინგს უზრუნველყოფს დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში და ხარისხის მენეჯერი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიერ კურიკულუმის მინიტორინგი და შეფასება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებით. კერძოდ, კათედრის მიერ ხორციელდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებებით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით, შეფასების რუბრიკების გამოყენებით. შესაბამისად, მონიტორინგი და შეფასება იძლევა კურიკულუმის ეფექტურ განხორციელებისა და პრობლემის გადაჭრის საშუალებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას .სკოლას აქვს გამოცდილება, რომ მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებით გამოკვეთოს პრობლემა, დაადგინოს საჭიროება და მოახდინოს ეფექტური უკუკავშირი. სკოლაში ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შედეგების ანალიზი, დაკვირვების შედეგები განიხილება მასწავლებელთან ერთად და გაიცემა რეკომენდაციები მათი შესაძლებლობების გასაძლიერებლად. პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და გასცემენ განვითარებაზე ორიენტირებულ, არგუმენტირებულ უკუკავშირს. მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია როგორც მხარდამჭერი მექანიზმი. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით პედაგოგები, კათედრის წევრები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, განიხილავენ ჩატარებულ გაკვეთილებს, შემაჯამებელ დავალებებს, მოსწავლეთა ნამუშევრებს. გამოკვეთენ პრობლემურ საკითხებს და ამ პროცესზე დაყრდნობით ცდილობენ გააუმჯობესონ სასწავლო პროცესის ხარისხი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *ანგარიში-მატრიცა;*
- *კათედრის ოქმი;*
- *კურიკულუმის მეთოდოლოგია;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა;*

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ინტეგრირებულად, ერთიანი, სისტემური მიდგომით და ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. კერძოდ, მოსწავლის აკადემიური, პიროვნული, ფსიქო-ემოციური, ძლიერი და სუსტი მხარეების, ინტერესების, კრიტიკული აზროვნების, კრეატიულობის, შემოქმედებითობის განსასაზღვრად თითოეული კათედრა იყენებს შეფასების რუბრიკებს, შემოქმედებით დავალებებს, მოსწავლეების მიერ შექმნილ სასწავლო პროდუქტებს . მოსწავლეთა შეფასება დაწყებით საფეხურზე ხორციელდება განმავითარებელი (I-IV და V კლასის პირველი სემესტრი) და განმსაზღვრელი (V კლასის მეორე სემესტრი-XII კლასები) შეფასების რუბრიკებით, ეყრდნობა შემაჯამებელი ტიპის დავალებების შედეგებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრები ცალკეულ ინსტრუმენტებზე და პრაქტიკებზე დაყრდნობით აწარმოებენ ჰოლისტურ შეფასებას. შეფასება არის ინტეგრირებული და ერთიანი და ამასთან, მონაცემების შეგროვება ხდება სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლის მიერ ყველა საგანში გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლეების შეფასება ხდება არამარტო აკადემიური მოსწრების მიხედვით, არამედ ითვალისწინებენ მოსწავლის მისწრაფებებს, მის უნარებს. ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ, იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზებს, რომლებმაც შესაძლოა მოსწავლეზე იქონიოს გავლენა და მომდინარეობდეს მისგან დამოუკიდებლად, მაგ: ფსიქო-ემოციური თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი ანალიზის ფორმები, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, შემოქმედებითი ტიპის დავალებების შეფასებები მოსწავლეების მიერ შესრულებული წერილობითი დავალებები,  პოსტერები, კომიქსები. ყოველდღიურ სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ აქტიურად ხორციელდება დაკვირვება, საუბრები, უკუკავშირის გაცემა რომელიც აჩვენებს როგორ განუვითარდათ დროთა განმავლობაში მოსწავლეებს სააზროვნო უნარები და საგნობრივი ცოდნა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის სხვადასხვა პერსპექტივას, მოსწავლეზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდები. გასაუბრებისას გამოიკვეთა

კათედრის წევრთა მზაობა ურთიერთდაკავშირებულად, სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით შეძლონ დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. მაგალითად, მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ შეფასების მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ანგარიში-მატრიცა;*
- *დამრიგებლის დოკუმენტაციის მონიტორინგი;*
- *კათედრის დოკუმენტაციის მონიტორინგი;*
- *მასწავლებლის მიერ დოკუმენტაციის მონიტორინგი;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა;*
- *სკოლის ფსიქოლოგის მასალები;*
- *ლინკები, ღონისძიებები*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**
**2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და მხარდაჭერის პროცესი. შესაბამისად, სკოლა ქმნის მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტს, რაც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრების ჩართულობას მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით კურიკულუმებში ცვლილებების შეტანას, რაც აღნიშნული დოკუმენტის სკოლის საჭიროებებზე მორგებას უზრუნველყოფს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის შექმნისა და მხარდაჭერის პროცესი, ჩართული მხარეების ფუნქცია-მოვალეობები, რაც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა საგნობრივი მიმართულებების მიხედვით. კერძოდ, მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, საუკეთესო პრაქტიკულ მაგალითებას/ აქტივობებს, სასკოლო საზოგადოების რეკომენდაციებს, შემაჯამებელი და შემოქმედებითი დავალებების შედეგებს და გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ანგარიში-მატრიცა;*

- *მასწავლებლის თვითშეფასება  კურიკულუმის განხილვასთან დაკავშირებით.*
- *კურიკულუმის მონიტორინგის მეთოდოლოგია;*
- *შიდასასკოლო ოლიმპიადის შესახებ;*
- *წლის ანალიზი და მომავალი წლის დაგეგმვა;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა.*
- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა 2024-2031;*
- *სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის მეთოდოლოგია;*
- *სასასკოლო სასწავლო-გეგმა;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მატრიცა;*
- *მოსწავლის კომპლექსური შეფასებისა და წახალისების წესი;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა*
- *გაკვეთილის შეფასება (გაკვეთილზე დასწრება);*
- *დამატებითი რესურსების ვალიდაციის ოქმი;*
- *ლაბორატორიის ფოტომასალა;*
- *ოქმები;*
- *პროექტი- ეს უნდა იცოდე;*
- *სსსმ მოსწავლეთა ნამუშევარი;*
- *შემოქმედებითი დავალება ქიმია;*
- *შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების კრიტერიუმები;*
- *ეკოკლუბის სამოქმედო გეგმა;*
- *დავალების ბარათი*
- *მოსწავლის ნაშრომის შეფასება;*
- *შეფასების სქემა;*
- *შემოქმედებითი  დავალება*
- *შემაჯამებლის-ანალიზი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

..........................................................................................................................................

..........................................................................................................................................

თარიღი: 02.07.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: